ევროკავშირი
საქართველოსთვის

„სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“

საკანონმდებლო ინიციატივის გენდერული ზეგავლენის შეფასება

EU4GENDEREQUALITY
REFORM HELPDESK

2022 წლის დეკემბერი

ევროკავშირი 2022

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის ,,ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის-
რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფის“ ფარგლებში,

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია
NIRAS-ი. პუბლიკაცია შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

სარჩევი i

გენდერული ზეგავლენის შეფასების სამუშაო ჯგუფი ii

აბრევიატურები iii

შემაჯამებელი მიმოხილვა iv

I თავი გენდერული ზეგავლენის შეფასების კონტექსტი 1

1.1. მეთოდოლოგია 3

1.2. სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის პოლიტიკის მიზანი 5

1.2.1 სიტუაციის ანალიზი 5

1.2.2 კანონპროექტის მიზნობრიობა 6

1.2.3 საკანონმდებლო ინიციატივა „სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ - მოკლე მიმოხილვა 8

1.2.4 სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვისა და სურსათის შეწირულობის სფეროს ეროვნული ამოცანები 10

1.3. „სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივის გენდერული რელევანტურობა 17

1.3.1. სურსათის დანაკარგები 17

1.3.2. სურსათის ნარჩენები 18

1.3.3. სურსათის შეწირულობა 20

II თავი „სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივის გენდერული ანალიზი 23

2.1. სურსათის წარმოებაში არსებული გენდერული უთანასწორობები 23

2.2. სურსათის ნარჩენების მართვის ძირითადი გამოწვევები 26

2.3. მუნიციპალური უფასო სასადილოებისა და კვებით უზრუნველყოფის პრაქტიკის გენდერული გამოწვევები 34

III თავი დასკვნები და რეკომენდაციები 44

3.1. ძირითადი დასკვნები 44

3.2. რეკომენდაციები პოლიტიკის გენდერული თანასწორობის კუთხით გასაუმჯობესებლად 46

ბიბლიოგრაფია 50

გენდერული ზეგავლენის შეფასების სამუშაო ჯგუფი

ანა მაგრაქველიძე - საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს აპარატი.

მარიამ ტყეშელაშვილი - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატი.

თინათინ ოდილავაძე - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატი.

ანი სისორდია - საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის აპარატი.

თამარ სირაძე - UNDP-ის ფელოუ/კონსულტანტი გენდერული თანასწორობის საბჭოში.

მაკა ჭითანავა - კონსულტანტი (ჯგუფის ხელმძღვანელი).

ნინო ჯანაშია - კონსულტანტი.

აბრევიატურები

EU4GenderEquality Reform Helpdesk	პროექტი „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის“
GGI	დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა
GIA	გენდერული ზეგავლენის შეფასება
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
HACCP	საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილები
HORECA	(hotel/restaurant/café) რესტორნების, სასტუმროებისა და კვების ინდუსტრიის ბიზნესი
ISET	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
ITU	საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი
NDI	ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი
OXFAM	ოქსფორდის შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი
RIA	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
USAID	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
UNDP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა
UN Women	გაეროს ქალთა ორგანიზაცია

შემაჯამებელი მიმოხილვა

„სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (შემდეგში - კანონპროექტი) გენდერული ზეგავლენა (GIA) შეაფასა სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელშიც გაერთიანდნენ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, აგრარულ საკითხთა კომიტეტის, ასევე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი დეპუტატები და მათი აპარატების თანამშრომლები. კვლევას განხორციელდა პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის - რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფის“ (EU4Gender Equality Reform Helpdesk) მხარდაჭერით.

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი 2021 წლის თებერვლიდან აქტიურად მუშაობს დასახელებულ კანონპროექტზე. ამ პერიოდში ჩატარდა შეხვედრები HORECA-ს სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, არასამთავრობო, საერთაშორისო თუ საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებთან. შედეგად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობითა და ექსპერტის ჩართულობით, მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივა.

კანონპროექტის მიზანია სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყოველ ეტაპზე სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოშობის პრევენცია და შემცირება, ასევე, სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების წახალისება.

საქართველოს რეალობის შესწავლამ ცხადყო, რომ კანონპროექტს აქვს პოტენციალი, დადებითი წვლილი შეიტანოს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაში, თუმცა მისი შემუშავების პირველ ეტაპზე, ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებისას, გენდერული ასპექტები არ იყო გათვალისწინებული.

კონკრეტულ საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, გენდერული ზეგავლენის შეფასების სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა კონკრეტული მეთოდოლოგია და განსაზღვრა კვლევაში ჩართული მხარეები. ჯგუფმა ჩაატარა თვისებრივი კვლევა, ასევე, გააანალიზა არსებული მონაცემები და საერთაშორისო პრაქტიკა. 5 სიღრმისეული ინტერვიუს შედეგების შესწავლის პარალელურად, შეჯერდა მიღებული სტატისტიკური მონაცემებიც.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვეყანაში არ არსებობს გენდერულად სპეციფიკური მიდგომები და ნორმატიული ჩარჩო სურსათის დანაკარგების, ნარჩენების პრევენციასა და სურსათის შეწირულობის საკითხებთან მიმართებით. სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში, როგორც წესი, გათვალისწინებული არ არის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და არ ანალიზდება გენდერული თანასწორობის საკითხები. სტრატეგიული დაგეგმვის ციკლები არ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მიზნებსა და შედეგებს.

გარდა ამისა, საქართველოში ქალებს, ერთი მხრივ, შესაბამისი ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო და, მეორე მხრივ, არსებული სოციალურ-კულტურული ნორმებიდან გამომდინარე, შეზღუდული წვდომა აქვთ შესაბამის ინფორმაციაზე, ტექნოლოგიასა და ინფრასტრუქტურაზე, რაც ზრდის სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების ოდენობას. ამჟამად სახელმწიფო არ ატარებს ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებაზე, ასევე, მათი წარმოქმნის პრევენციაზე. ძალიან მწირია შესაბამისი სტატისტიკური თუ ანალიტიკური ინფორმაციაც.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საბაზისო მდგომარეობა მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიანი, ინკლუზიური და გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას.

ამდენად, გენდერული ზეგავლენის შეფასების სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები როგორც კანონმდებლობის, ისე სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებით.

ანგარიშის მომზადების პარალელურად, კანონპროექტთან დაკავშირებული რეკომენდაციების უმეტესობა აისახა დასაინიციირებელ პროექტში. რეკომენდაციების მეორე ნაწილი, რომლებიც ეხება შესაბამისი პოლიტიკის გატარებას კანონის აღსრულების ეტაპზე, სამომავლოდ უნდა გაითვალისწინონ - ძირითადად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მუნიციპალიტეტებმა. რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება გენდერულად სეგრეგირებულ მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებას.

I თავი

გენდერული ზეგავლენის შეფასების კონტექსტი

საქართველო აქტიურად მუშაობს კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაზე. შესაბამისად, გენდერული ზეგავლენის შეფასების (შემდგომში შესაძლოა მოხსენიებული იყოს როგორც GIA) სამომავლო ინსტიტუციონალიზაციისათვის, საპილოტე ანგარიშები აქტიურად მზადდება როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ დონეზე. GIA-ს ფარგლებში ფასდება სხვადასხვა სფეროში და დონეზე მისაღები/დასამტკიცებელი ნორმატიული აქტები, პოლიტიკის დოკუმენტები და პროგრამები, რაც შესაძლებელს ხდის, დავაკვირდეთ, რამდენად მოახდენს კონკრეტული გადაწყვეტილება/ინიციატივა დადებით ან უარყოფით გავლენას ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობაზე. გენდერული ზეგავლენის შეფასების კუთხით, კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას მნიშვნელოვნად უჭერენ მხარს საერთაშორისო საზოგადოება და დონორი ორგანიზაციებიც, რომლებიც *გენდერული მეინსტრიმინგის*[1] პროცესში ხშირად უწევენ სახელმწიფო უწყებებს ექსპერტულ თუ ტექნიკურ დახმარებას. *გენდერული მეინსტრიმინგის* ვალდებულება ქვეყანას აღებული აქვს ისეთი საერთაშორისო შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით, როგორიცაა *პეკინის დეკლარაციის სამოქმედო პლატფორმა*, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია[2] (CEDAW), *საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება და დღის წესრიგი*[3], გაეროს მდგრადი განვითარების მეხუთე მიზანი - გენდერული თანასწორობის მიღწევა.

2018 წლიდან დღემდე საქართველოს პარლამენტში არაერთ საკანონმდებლო ინიციატივასთან მიმართებით გაანალიზდა გენდერული ზეგავლენა. მათ შორისაა:

- შრომის კანონმდებლობის რეფორმის გენდერული ზეგავლენის შეფასება (საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, 2017);
- საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის გენდერული ზეგავლენის შეფასება (საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, 2017);
- „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზი (საქართველოს პარლამენტი, 2019).

დასახელებულ საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებული გენდერული გენდერული ზეგავლენის ანალიზის დოკუმენტები მომზადდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით.

საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებით პროცესში გენდერული ზეგავლენის ანალიზის ინტეგრირებას კურირებს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2021 წლის

[1] გენდერული მეინსტრიმინგი: ქალთა და მამაკაცთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით. წყარო: https://tinyurl.com/bdeeehn9

[2] Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, General Assembly resolution 34/180 of 18 December 1979, https://www.ohchr.org/sites/default/files/cedaw.pdf

[3] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის და დღის წესრიგი, http://tiny.cc/8852vz

აპრილში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ერთიანდებიან გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა და, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით, მომზადდა მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს გენდერული ზეგავლენის შეფასების ორეტაპიან პროცესს: კერძოდ, საბჭო შეასრულებს მთავარ მაკოორდინირებელ ფუნქციას და ერთგვარი სავალდებულო ჩამონათვალის მეშვეობით განსაზღვრავს, თუ რომელ კანონპროექტზე/ინიციატივაზე უნდა ჩატარდეს გენდერული ზეგავლენის სრულყოფილი შეფასება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საბჭომ და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მოამზადეს საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. კანონპროექტი ინიციირებულია ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში და მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას. კანონპროექტის თანახმად, გენდერულ თანასწორობაზე ზეგავლენის შეფასება სავალდებულო ნაწილი იქნება როგორც კანონპროექტის, ისე კანონქვემდებარე აქტის განმარტებით ბარათებში. ამ ინიციატივით, საქართველო პრინციპულ განაცხადს აკეთებს ქვეყანაში მიმდინარე კანონშემოქმედებით პროცესში GIA-ს სისტემის მნიშვნელობასა და არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე.

ამასთანავე, საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაში გამოკვეთილია GIA-ს მეთოდოლოგიის ინსტიტუციონალიზაციის მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრა სამოქმედო გეგმის 1.4 აქტივობად; ხოლო ინდიკატორი 1.4.2 აღნიშნავს, რომ 2022-2024 წლებში ეკონომიკური ბლოკის სამ კომიტეტში მათი აპარატების გადამზადებული თანამშრომლები შეაფასებენ თითო საკანონმდებლო ინიციატივის გენდერულ ზეგავლენას, საბჭოს მენტორობით (გენდერული თანასწორობის საბჭო, 2022).

სწორედ აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში შეირჩა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული კანონპროექტი *„სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“* (სათაურის სამუშაო ვერსია) და გადაწყდა მისი გენდერული ზეგავლენის შეფასება. ამ მიზნით, 2022 წლის მაისში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს, საქართველო პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი დეპუტატები, ასევე, მათი აპარატების თანამშრომლები.

„სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საქართველოს კანონის გენდერული ზეგავლენის შეფასებას ექსპერტულ მხარდაჭერას უწევს საბჭოს პარტნიორი პროექტი - „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის - რეფორმების განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფი“ (EU4Gender Equality Reform Helpdesk). პროექტს აფინანსებს ევროკავშირი და ახორციელებს ორგანიზაცია NIRAS, აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში. მისი მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობათა მხარდაჭერა, რათა პოლიტიკის შემუშავებისა თუ განხორციელების პროცესებში მოხდეს გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება.

1.1. მეთოდოლოგია

მიმდინარე GIA-ს მიზანია, *„სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“*კანონპროექტის მომზადებისას გენდერული ასპექტების გათვალისწინება,. ამ მიზნით, სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა კანონპროექტის სამიზნე ჯგუფების განსხვავებული საჭიროებები, მახასიათებლები და ქცევა და შეაფასა კანონპროექტის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე. მიმდინარე GIA გამოკვეთს ძირითად საკითხებს, რომლებიც უნდა **ინტეგრირდეს აღნიშნულ** სფეროში კანონპროექტისა და პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესებში.

კანონპროექტის გენდერული ზეგავლენა შეფასდა 2022 წლის ივლისი-ოქტომბრის პერიოდში და მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

ა) **მოსამზადებელი სამუშაოები** – გაიმართა გაცნობითი შეხვედრა EU4GenderEquality Reform Helpdesk-ის გუნდის, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს წარმომადგენლების/აპარატების თანამშრომლებისთვის. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია GIA-ს შესახებ და განისაზღვრა სამოქმედო გეგმა. ამასთან, შედგა სამუშაო ჯგუფი და შეთანხმდა მისი საქმიანობის ფორმატი;

ბ) **სამაგიდო კვლევა** – ეს ეტაპი მეტწილად გულისხმობდა ლიტერატურის მიმოხილვას, კერძოდ, გაანალიზდა: სურსათის დანაკარგების, ნარჩენებისა და შეწირულობის სფეროების მომწესრიგებელი ეროვნული კანონმდებლობა; საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა; ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2022-2026 წლების სამოქმედო გეგმა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021–2027. გარდა ამისა, ამ ეტაპზე ჯგუფმა შეისწავლა საერთაშორისო გამოცდილება - შესაბამისი ლიტერატურა, სტატიები და საერთაშორისო ორგანიზაციათა ანგარიშები (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და სხვა). ამასთან, GIA-ს ჯგუფმა მოიძია და შედარებითი ანალიზისთვის გამოიყენა რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება/პოლიტიკა სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვისა და სურსათის შეწირულობის სფეროებში. გარდა ამისა, გაანალიზდა საქართველოს ყველა ძირითადი სტრატეგიული და პოლიტიკური დოკუმენტი (როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი მნიშვნელობის);

გ) **თვისებრივი კვლევა** – ამ ეტაპზე GIA-ს გუნდმა ჩაატარა 5 სიღრმისეული, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ. კერძოდ, გამოკითხა: FAO-ს გენდერული თანასწორობის, სოციალური ინკლუზიისა და ექსტენციის ოფიცერი; საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს **კარიტასის**“ **წარმომადგენელი**, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის 2 წარმომადგენელი; სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურისა და უფასო სასადილოების 3 წარმომადგენელი და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი, რომლებმაც იმუშავა კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშზე (RIA).

სიღრმისეული ინტერვიუების მიზანი იყო: ა) სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენებისა **წარმოქმნისა და** სურსათის შეწირულობის სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობების, პრობლემებისა და მათი მიზეზების შესწავლა; ბ) კანონპროექტის შესაძლო გავლენის დადგენა არსებულ გენდერულ პრობლემებსა და გამოწვევებზე; გ) რესპონდენტთა ხედვის გაცნობა გამოვლენილ გენდერულ უთანასწორობათა დაძლევის გზებზე.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში ჯგუფმა შეისწავლა მუნიციპალური უფასო სასადილოები და მათი კვებით უზრუნველყოფის პრაქტიკა. კერძოდ, მას აინტერესებდა: ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები, პროგრამაზე ინფორმაციის გავრცელების გზები, რამდენად მორგებულია კვებით უზრუნველყოფა ბენეფიციართა საჭიროებებს, არსებობს თუ არა გენდერული სტერეოტიპები და სტიგმები სურსათის შეწირულობის სფეროში, როგორ გაეწევა მონიტორინგი პროგრამას და სხვა. ამ მიზნით, ჯგუფმა ჩაატარა ნახევრადსტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუ ზუგდიდისა და რუსთავის მუნიციპალიტეტთა შესაბამის სამსახურებთან.

დ) **არსებულ მონაცემთა ანალიზი** – ამ საფეხურზე მოხდა უფასო სასადილოების ბენეფიციარებსა და კვებით დაფინანსების შესახებ საქართველოს ოთხი **დიდი ქალაქიდან** (**თბილისი**, **ქუთაისი**, ბათუმი და **ზუგდიდი**) გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების გამოთხოვა და ანალიზი.

ე) **გენდერული ზეგავლენისა შეფასება და ანგარიშის შემუშავება** – ამ საფეხურზე კვლევის წინა ეტაპებზე შეგროვებული ინფორმაცია გაანალიზდა გენდერულ ჭრილში. კანონპროექტის გენდერული ზემოქმედება შეფასდა შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

(i) ნორმებისა და ღირებულებების ანალიზი, რაც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:
არსებული გენდერული როლების იდენტიფიცირება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოშობის სასიცოცხლო ციკლში; სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვისა და სურსათის შეწირულობისას ქალსა და კაცთან დაკავშირებული დამოკიდებულებებისა თუ ასოცირებული ქცევების შესწავლა; არსებული გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირება.

(ii) სურსათის შეწირულობის პროგრამების ბენეფიციართა გენდერული შემადგენლობის გაანალიზება; ქვეყანაში უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის გენდერული სტატისტიკის, ასევე, სურსათის წარმოების პროცესში შრომის გენდერული გადანაწილების შესწავლა; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და კაცების ჩართულობის გაანალიზება.

(iii) რესურსების (დრო, მიწა, ინფორმაცია, ფინანსები, ეკონომიკური ძალაუფლება, განათლება და ა.შ.) ხელმისაწვდომობა გენდერულ ჭრილში.

(iv) სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის/პოლიტიკის ანალიზი გენდერული დისკრიმინაციისა და მგრძნობელობის ჭრილში.

მომდევნო ეტაპი დაეთმო გენდერული ზეგავლენების შეწონვას და საკანონმდებლო რეკომენდაციათა შემუშავებას.

კანონპროექტის გენდერული ზეგავლენის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ, ერთი მხრივ, ქვეყანაში კვლავ გამოწვევაა გენდერული საკითხების გათვალისწინება პოლიტიკის განსაზღვრისას და შესაბამის მექანიზმთა დანერგვა, და, მეორე მხრივ, არ არსებობს უშუალოდ სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვისა და სურსათის შეწირულობის პოლიტიკა. კერძოდ:

- **მოწესრიგებას დაქვემდებარებული სფერო მეტწილად კანონმდებლობის მიღმა რჩება** - სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვა, სურსათის შეწირულობა, სპეციფიკურად აღნიშნული არ არის განხილულ სტრატეგიულ დოკუმენტებში, მათ შორის, ნარჩენების მართვის კოდექსსა და სტრატეგიაში. ამდენად, ბუნებრივია, არ არსებობს გენდერულად სპეციფიკური მიდგომები ამ საკითხთან მიმართებით და გენდერული თანასწორობის შესაბამისი ჩარჩოები. როგორც წესი, სტრატეგიული დაგეგმვის ციკლები არ ითვალისწინებს გენდერულ მიზნებსა და შედეგებს;
- **გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების არარსებობა** - სურსათის შეწირულობის სფეროში არ არის დამუშავებული 2021 წლამდე მონაცემები, რომლებიც თვითმმართველობებიდან წერილობით თუ

ინტერვიუებით არის გამოთხოვილი/მიღებული და მხოლოდ 2021 წლიდან იწყება შესაბამისი მონაცემების გენდერული სეგრეგაცია. ასეთი ინფორმაციის არარსებობის პირობებში, ვერ ხერხდება პოლიტიკისა და ბიუჯეტის შესაბამისად მორგება ქალთა და კაცთა სპეციფიკურ საჭიროებებზე;

- **დაინტერესებულ მხარეთა დაბალი მზაობა თანამშრომლობისადმი;**
- **საქართველოს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის სექტორში გენდერული თანასწორობის საკითხების შეზღუდული ცოდნა და მწირი გამოცდილება** - სამუშაო პროცესმა აჩვენა, რომ ქვეყანაში ისედაც მცირე რაოდენობით არსებული გენდერის ექსპერტები უმთავრესად არ მუშაობენ სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე. ქვეყნის მასშტაბით ამ სფეროში არ ტარდება საკმარისი კვლევები და არ გროვდება შესაბამისი მონაცემები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გენდერული ზეგავლენის წინამდებარე შეფასება არ იყო ისეთი ყოვლისმომცველი, როგორიც იქნებოდა ჩამოთვლილი შეზღუდვების არარსებობის შემთხვევაში.

1.2. სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის პოლიტიკის მიზანი

1.2.1 სიტუაციის ანალიზი

სურსათის დანაკარგებისა[4] და ნარჩენების[5] წარმოქმნა მთელ მსოფლიოში ფუნდამენტური პრობლემაა. მსოფლიოში ადამიანის მოხმარებისთვის წარმოებული სურსათის 14% - დაახლოებით, 400 მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქტი - არ მიდის მომხმარებლამდე და იკარგება ღირებულებითი ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე (FAO, 2019). ამავდროულად, 2019 წელს დაახლოებით 931 მლნ. ტონა სურსათის ნარჩენი დაგროვდა, რომელთაგან 61% წარმოიქმნა ოჯახებიდან/შინამეურნეობებიდან, 26% - სურსათის მომსახურების ობიექტებიდან, 13% კი - სარეალიზაციო ქსელებიდან. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიოში წარმოებული სურსათის 17% იფლანგება (11% - ოჯახებში/შინამეურნეობებში; 5% - სურსათის მომსახურების სფეროში; 2% - სარეალიზაციო ქსელში) (United Nations Environment Programme, 2021). საკვებად ვარგის სურსათს ყოველდღიურად ყრიან ბიზნესოპერატორები, განსაკუთრებით, დიდი სარეალიზაციო ქსელები. მათი საქმიანობის ჩვეულებრივი ნაწილია ზედმეტი სურსათის ქონა, რომლის რეალიზაციაც ვერ ხერხდება და იყრება (FAO, 2019).

ერთ სულ მოსახლეზე მუნიციპალური ნარჩენის წარმოქმნის მაჩვენებელი საქართველოში წლიურად 261.1 კილოგრამია (2020)[6], მათ შორის მნიშვნელოვანი წილი უკავია ბიოდეგრადირებად (სურსათის/ცხოველის საკვების) ნარჩენებს. მაშინ, როცა სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი იყრება, საქართველოს მოსახლეობის 17,5% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.[7]

სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოქმნა მრავალგანზომილებიანი პროცესია და მოიცავს როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. არსებული სურსათის 17%-ის გადაყრა

---

[4] *სურსათის დანაკარგები* - **სურსათის რაოდენობის** ან ხარისხის შემცირება, რომელიც გამოწვეულია სურსათის მიწოდების **ჯაჭვში მიმწოდებელთა** გადაწყვეტილებებისა და ქმედებების შედეგად, გარდა საცალო ვაჭრობის, კვების სერვისების მიმწოდებლების და **მომხმარებლების გადაწყვეტილებებისა** და ქმედებებისა. წყარო: საქართველოს კანონის პროექტი „სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის **შესახებ** “.

[5] *სურსათის ნარჩენი* - სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეთა ქმედებების შედეგად, სურსათის მიწოდების ჯაჭვის გარკვეულ საფეხურზე დარჩენილი სურსათი. წყარო: საქართველოს კანონის პროექტი „სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის **შესახებ** “.

[6] *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. გარემოს სტატისტიკა. https://tinyurl.com/mw7xee3d*

[7] *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი. https://tinyurl.com/3v69vxzv*

შესაბამის არასასურველ ეფექტებს ახდენს კლიმატისა და გარემოს დაბინძურებაზე. სათბური გაზის ემისიების, დაახლოებით, 8-10% სწორედ აუთვისებელ სურსათს უკავშირდება. გარდა ამისა, დანაკარგების ასანაზღაურებლად დამატებითი რესურსების წარმოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე; ის ამცირებს საკვების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს სიღარიბის მაჩვენებლების ზრდას მსოფლიო მასშტაბით (HLPE, 2014).

საინტერესოა, რომ სახელმწიფოთა მიერ პარიზის შეთანხმებით[8] დადგენილი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტთაგან არცერთი არ იხსენიებს სურსათის ნარჩენებს, მათ შორის, არც საქართველოს შემთხვევაში (საქართველოს მთავრობა, 2021). ეს საკითხები არც ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში[9] გვხვდება. ამასთან, არ არსებობს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის (შემცირებისა და წარმოქმნის პრევენციის) პოლიტიკა/სტრატეგია. ნარჩენების მართვის კოდექსი და ამ სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი სხვა დოკუმენტები (ეროვნული თუ მუნიციპალური სტრატეგიები) აწესრიგებს ზოგადად ნარჩენების მართვას, შემცირებას, გადამუშავებას და ა.შ; მათში არ გვხვდება აქცენტები სურსათის დანაკარგებსა და ნარჩენებზე. ასეთი გამოწვევები მიუთითებს, რომ საკითხს არასათანადო ყურადღება ეთმობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში არასასურველად გამოვლინდება როგორც სოციალურ, ისე გარემოსდაცვით და ეკონომიკურ კონტექსტში (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2019).

ვინაიდან საქართველოში არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო მოწესრიგება სურსათის დანაკარგებისა თუ ნარჩენების მართვისა და სურსათის შეწირულობის წასახალისებლად, საქველმოქმედო ორგანიზაციებიც მეტწილად შესყიდული სურსათით უმასპინძლდებიან ბენეფიციარებს და მიიჩნევენ, რომ მიწოდებული საკვების რაოდენობას გააორმაგებენ, თუკი შეწირულობის სახითაც მიიღებენ სურსათს. მაგალითისთვის, სურსათის შესყიდვები „კარიტასის“ უფასო სასადილოს პროგრამული ბიუჯეტის ნახევარს მოიცავს, მაშინ, როცა ეს თანხები შეიძლებოდა მოხმარებოდა ბენეფიციართა სხვა საჭიროებების დაკმაყოფილებას, სურსათის ნარჩენებისა თუ დანაკარგების მართვისა და სურსათის შეწირულობის გამართული ჯაჭვის არსებობის შემთხვევაში (FAO, 2019).

გარდა ამისა, საკმაო ხარჯები გაიწევა მუნიციპალური უფასო სასადილოების დაფინანსებისათვის. მაგალითისთვის, წინამდებარე კვლევის ფარგლებში საქართველოს 4 დიდი ქალაქიდან (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და ზუგდიდი) მიღებული ინფორმაციით, ბიუჯეტებიდან ჯამში 22.1 მლნ. ლარი დაიხარჯა 2021 წელს და ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. უფასო სასადილოები სურსათს/საკვებს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის მიხედვით იძენენ და არ იღებენ შეწირულობებს.

სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირება, ამ პროცესის სწორად ორგანიზება და მართვა, ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც გარემოს დაცვის, ისე სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით. ევროპული და მსოფლიოს სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ სფეროში მდგრადი მოდელის შექმნა მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოსთვისაც, თუმცა მოქმედი სამართლებრივი ნორმები სათანადოდ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

1.2.2 კანონპროექტის მიზნობრიობა

ამჟამად საქართველოში არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს და წაახალისებს სურსათის შემოწირულობას. საგადასახადო რეგულაციების მიხედვით, სურსათის შეწირულობა

[8] პარიზის შეთანხმება. მიღებულია 2015 წლის 12 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2016 წლის 4 ნოემბერს. https://tinyurl.com/2ahxe9uj (შეთანხმების ქართული, რატიფიცირებული ვერსია იხ: https://tinyurl.com/2p9bszrk)

[9] საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა https://tinyurl.com/4mu6erx7

არახელსაყრელია ბიზნესისთვის. სუპერმარკეტები უარს ამბობენ ზედმეტი საკვების გაცემაზე, რადგან შემოწირული საკვები იბეგრება დღგ-ითა (15%) და მოგების გადასახადით (18%). აღსანიშნავია, რომ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს შეღავათსაც: კერძოდ, მოგების გადასახადით არ იბეგრება კალენდარული წლის განმავლობაში საქონლის მიწოდება საქველმოქმედო ორგანიზაციაზე, არაუმეტეს მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ისა (საგადასახადო კოდექსის 98[3] მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). თუმცა, ბაზრის მონაწილეთა განცხადებით, ეს ნორმა არაეფექტიანია და არ კმარა სურსათის შეწირულობის წასახალისებლად. აქედან გამომდინარე, საქართველოში წარმოიქმნება დიდი ოდენობით საკვების ნარჩენი, რომელიც შესაძლოა საზოგადოების სოციალურად დაუცველ ნაწილს გადასცემოდა შეწირულობის სახით (CENN, 2021).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **მიზანშეწონილია ისეთი ჩარჩო დოკუმენტის არსებობა, რომელიც დაადგენს ძირითად მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებსა და თამაშის წესებს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის სფეროში და ხელს შეუწყობს მათ აღდგენასა და შეწირულობას, ნაცვლად გადაყრისა.**

საქართველოს კანონი სწორედ ის ნორმატიული აქტია, რომელიც ადგენს სახელმძღვანელო სავალდებულო პრინციპებს კონკრეტულ სფეროში და აწესრიგებს ჩართულ მხარეთა ძირითად უფლება-მოვალეობებს. ვინაიდან ნარჩენების მართვის კოდექსის მიზანი მეტწილად არის ნარჩენების შემცირება და გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავება და ის არ გამოყოფს სურსათს პრიორიტეტის სახით, მიზანშეწონილია დამოუკიდებელი კანონის მიღება და სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის ფუნდამენტური მნიშვნელობის დეკლარირება.

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი 2021 წლის თებერვლიდან აქტიურად მუშაობს დასახელებულ საკანონმდებლო ინიციატივაზე. ამ პერიოდში ჩატარდა შეხვედრები HORECA-ს სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, არასამთავრობო, საერთაშორისო თუ საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებთან. შედეგად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობითა და მისი ექსპერტის ჩართულობით, მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივა. გენდერული ზეგავლენის შეფასებასთან ერთად, პარალელურად მიმდინარეობს ამ საკანონმდებლო ინიციატივის რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წლის 22-28 აგვისტოს საქართველოს დელეგაცია სტუმრობდა საფრანგეთსა და ბელგიის სამეფოს, სადაც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ არსებულ მიდგომებსა და პრაქტიკას. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა როგორც სამთავრობო სექტორთან, ისე სურსათის ბანკებთან, ასევე, სურსათის დანაკარგების სფეროში მომუშავე კერძო კომპანიებსა და ევროპის სურსათის ბანკების ფედერაციასთან. შედეგად, გაანალიზა საქართველოზე უკეთ მორგებული მოდელი. წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას კანონპროექტში აისახა შესაბამისი ცვლილებები.

„სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის <u>მიზანია</u> **სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყოველ ეტაპზე მისი დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოშობის პრევენცია და შემცირება, ასევე, სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების წახალისება.**

სურსათის დანაკარგისა და ნარჩენების შემცირებისა და სოციალური სოლიდარობის წასახალისებლად, **კანონპროექტის ამოცანებია:**[10]

[10]შენიშვნა: წინამდებარე ანგარიშზე მუშაობისას კანონპროექტში ცვლილებები შევიდა საფრანგეთსა და ბელგიის სამეფოში ვიზიტის შედეგად. FAO-ს გენდერის გუნდის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები (რომლებიც გაზიარდა) ასევე აისახა კანონპროექტში და განხილულია წინამდებარე ანგარიშის 3.2 ქვეთავში.

- ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება;
- ბენეფიციართათვის ჭარბი სურსათის მიწოდების წახალისება და უვნებელ სურსათზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ჭარბი სურსათის შეწირულობა, გადანაწილება და გამოყენება;
- გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება და შეზღუდვა;
- პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შესამცირებლად;
- სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების, ხელშემწყობი ზომებისა და პროგრამების განხორციელება.

GIA-ს ჩატარებამდე არსებული კანონპროექტის ძირითადი მიზნების ჩამონათვალი აჩვენებს, რომ გენდერული ასპექტები არ იყო გათვალისწინებული სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებისა და სოციალური სოლიდარობის წამახალისებელი პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა ჩამოყალიბებისას. მართალია, კანონპროექტის მიზნები საკმაოდ ზოგადად არის აღწერილი, თუმცა აუცილებელია, ამ სფეროში პოლიტიკა იყოს ინკლუზიური და გენდერულად პასუხისმგებლიანი.[11] კანონპროექტი შეიძლება გაძლიერდეს გენდერული პერსპექტივით და გახდეს მეტად ინკლუზიური, თუკი მოხერხდება პოტენციური გენდერული სხვაობის აღიარება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების, ასევე, სურსათის შეწირულობის სფეროებში და შემუშავდება გენდერულ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკა.

1.2.3 საკანონმდებლო ინიციატივა „სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“- მოკლე მიმოხილვა[12]

ეს საკანონმდებლო ინიციატივა მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებს:

კანონპროექტით განისაზღვრება **სურსათის ნარჩენების მართვის ახალი იერარქია**, რომელიც იმეორებს ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრულ **იერარქიას** და დამატებით მოიცავს ერთ საფეხურს, სურსათზე აქცენტით:

№	სურსათის ნარჩენების მართვის იერარქია (კანონპროექტი)	ნარჩენების მართვის იერარქია (ნარჩენების მართვის კოდექსი)
1.	სურსათის მიწოდების ჯაჭვის თითოეულ საფეხურზე სურსათის დანაკარგისა და ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია	პრევენცია
2.	ჭარბი სურსათის შეწირულობა, აღდგენა და გადანაწილება, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მოთხოვნათა შესაბამისად	

[11] გენდერული პასუხისმგებლობა (gender-responsivness) გულისხმობს მუდმივ, მდგრად და სისტემურ მიდგომას საზოგადოებაში ქალსა და კაცს შორის არსებული განსხვავებებისადმი, გენდერული თანასწორობის სტრუქტურული ხარვეზების მოსაგვარებლად. წყარო: UN Women (2021) გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია.

[12] შენიშვნა: ამ თავში განხილულია კანონპროექტის რედაქცია FAO-ს გენდერის გუნდისა და GIA-ს ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებამდე.

3.	ჭარბი სურსათის ცხოველის საკვებად მიმართვა ან სხვა არასასურსათო პროდუქციად გადამუშავება	ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება
4.	ჭარბი სურსათის რეციკლირება	რეციკლირება
5.	ჭარბი სურსათის გამოყენება ენერგიის გამომუშავების მიზნით	სხვა სახის აღდგენა, მათ შორის, ენერგიის აღდგენა
6.	სურსათის ნარჩენების განთავსება ნაგავსაყრელზე	განთავსება

სურსათის ნარჩენების შემცირებისა და სურსათის გადანაწილების წასახალისებლად, კანონპროექტი მოიაზრებს შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს** მხრიდან. მათ შორისაა:

ა) შეწირულობაზე **ცნობიერების** ასამაღლებელი და მისი წამახალისებელი ზომების/პროგრამების დანერგვა;

ბ) ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებისა და სასწავლო აქტივობების განხორციელება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მიმართულებით;

გ) სურსათის დანაკარგებსა და ნარჩენებთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების მომზადება;

დ) შეწირულობის სახელმძღვანელო პრინციპების მომზადება.

სურსათის შეწირულობის ნაწილში კანონპროექტი გამოყოფს საქველმოქმედო საქმიანობას და სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას (სურსათის ბანკი). ამ ორგანიზაციას შეუძლია, შეწირულობის სახით მიიღოს ჭარბი სურსათი, აღადგინოს და გადაანაწილოს სხვა ბანკებში/სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციებში, ან უშუალოდ ბენეფიციარებთან.

სურსათის საქველმოქმედო საქმიანობაზე ვრცელდება ავტორიზაცია, რისი გაცემაც სსიპ - შემოსავლების სამსახურის კომპეტენცია იქნება, თავად ავტორიზაციის წესი კი დამტკიცდება მთავრობის დადგენილებით. კანონპროექტი სურსათის ბანკს (სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას) უწესებს რიგ ვალდებულებებს:

- ჭარბი სურსათი გადაანაწილოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად;
- დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი სურსათის უვნებლობის მოთხოვნები და იხელმძღვანელოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემასთან გათანაბრებული სტანდარტებით;
- შეიმუშაოს და დაამტკიცოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა და წლიური ფინანსური ანგარიში.

მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ინიციატივაში შესული ცვლილებები აისახოს საგადასახადო კოდექსში, კერძოდ:

- დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდება სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უსასყიდლოდ მიწოდება, კანონის შესაბამისად;
- მოგების გადასახადით არ დაიბეგრება სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უსასყიდლოდ მიწოდება, კანონის შესაბამისად.

გარდა ამისა:

- **კანონპროექტი მუნიციპალიტეტებს** ავალდებულებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში ასახონ ამ კანონით გათვალისწინებული სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპები;
- **კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** პასუხისმგებელია სურსათის დანაკარგისა და ნარჩენების მდგომარეობის სტატისტიკურ კვლევასა და შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებაზე;
- **კანონპროექტი განმარტავს ისეთ მნიშვნელოვან ტერმინებს, როგორიცაა:** სურსათის შეწირულობა; სურსათის ნარჩენები და დანაკარგები; სურსათის გადანაწილება და აღდგენა; ჭარბი სურსათი; და სურსათის რეციკლირება;
- კანონპროექტი აწესებს სურსათის შეწირულობის ვადას; კერძოდ, შეწირულობა დაშვებულია მისი ვარგისიანობის მინიმალური ვადის („უმჯობესია, გამოყენებული იყოს“) გასვლის შემდეგ, იმ პირობით, თუ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს;
- კანონპროექტით განისაზღვრება სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების **ტექნიკური რეგლამენტის მინიმალური სტანდარტები.** თავად რეგლამენტის დამტკიცება იქნება საქართველოს მთავრობის ვალდებულება;
- საკანონმდებლო ინიციატივა მოიცავს ცვლილებების შეტანას სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში, რათა სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის, შემოწირულობისა და შემდგომი განაწილების წესების დარღვევისთვის დაჯარიმდნენ როგორც ოჯახური წარმოების სუბიექტები, ისე ბიზნესოპერატორები;
- ცვლილებები შედის ნარჩენების მართვის კოდექსშიც, სადაც ტერმინთა განმარტებაში გაჩნდება „სურსათის ნარჩენი“. ამასთან, სავალდებულო გახდება სურსათის ნარჩენების მართვის სტრატეგიის მომზადება და შეიძლება შემუშავდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმაც.

1.2.4 სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვისა და სურსათის შეწირულობის სფეროს ეროვნული ამოცანები

ამ სფეროში საქართველოს ეროვნული ამოცანების იდენტიფიცირებისთვის, სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე არსებული ლიტერატურა, ანგარიშები და სხვა დოკუმენტები. შედეგად, მომზადდა თემატური ჩარჩო დოკუმენტებისა და სტრატეგიების მიმოხილვა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინებით.

გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის, მნიშვნელოვანია *გენდერული მეინსტრიმინგი* პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებათა თანაბრად გათვალისწინებას შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებსა თუ საკანონმდებლო რეგულაციებში, ასევე, მათზე გავლენის შეფასებას. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მიერ პოლიტიკისა და კანონის მიზნის განსაზღვრისას, გაანალიზდეს, რამდენად გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის საკითხები და რა გავლენას ახდენს კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტი ან კანონი ქალებისა და კაცების მდგომარეობაზე.

- **საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო**

2015 წელს საქართველოს მთავრობამ აიღო ვალდებულება, რომ ეროვნული პოლიტიკა მიესადაგებინა **მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (SDGs**). 2020 წელს გაფორმდა გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობამ და

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აიღეს ვალდებულება, რომ ერთობლივად იმუშავებენ ეროვნული განვითარების პრიორიტეტების, მდგრადი განვითარების მიზნებისა და სხვა საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში პროგრესის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სქემა და ასოცირების ხელშეკრულება ფარავენ საქართველოსთვის მისადაგებული მდგრადი განვითარების მიზნების 93%-ს (საქართველოს მთავრობა, United Nations Georgia, 2020). ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით - მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ანგარიშის მიხედვით, ის 73-ე ადგილზეა 162 ქვეყანას შორის (საქართველოს მთავრობა, United Nations Georgia, 2020).

სურსათის დანაკარგებსა და ნარჩენების შემცირებას ესადაგება მდგრადი განვითარების მე-12 მიზანი - *გონივრული მოხმარება და წარმოება.* ამ მიზნის ფარგლებში, საქართველოსათვის მისადაგებულია მხოლოდ 12.8. ამოცანა - „2030 წლისთვის, საქართველოში მყოფი ადამიანებისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების და ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების წესის შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ მე-12 მიზნის სხვა ამოცანები მჭიდროდ უკავშირდება სურსათის ნარჩენებსა და დანაკარგებს: კერძოდ, 12.3 ამოცანით დაგეგმილია **2030 წლისთვის მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე სურსათის ნარჩენების განახევრება გაყიდვისა და მოხმარების დონეზე და წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვებში სურსათის დანაკარგების შემცირება, მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგების ჩათვლით.**

მდგრადი განვითარების მიზნები, რომლებიც უკავშირდება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებას, სურსათის შეწირულობასა და გენდერულ თანასწორობას, საქართველოსთვის მისადაგებულ ამოცანებთან ერთად, წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილში:

ცხრილი 1. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიზნები და საქართველოსათვის მისადაგებული ძირითადი ამოცანები (საქართველოს მთავრობა, 2019).

მიზანი	ამოცანა
მიზანი 1: არა სიღარიბეს	ამოცანა 1.2. „2030 წლისთვის ნებისმიერი ფორმით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის კაცების, ქალებისა და ბავშვების პროპორციული ოდენობის შემცირება, ქვეყანაში დადგენილი განმარტებების შესაბამისად“.
მიზანი 2: არა შიმშილს	ამოცანა 2.2. „2030 წლისთვის არასაკმარისი კვების ყველა ფორმის აღმოფხვრა, მათ შორის, 5 წლამდე ასაკის ბავშვებში არასაკმარისი ზრდისა და სისუსტის მხრივ, 2025 წლისთვის საერთაშორისოდ შეთანხმებული მიზნების მიღწევა; მოზარდი გოგონების, ორსულების, ლაქტაციის პროცესში მყოფი ქალებისა და მოხუცებულების საკვები საჭიროებების უზრუნველყოფა“; ამოცანა 2.4. „2030 წლისათვის სურსათის წარმოების მდგრადი სისტემების უზრუნველყოფა და სიცოცხლისუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა, რომელიც გაზრდის პროდუქტიულობას და წარმოების მოცულობას; ასევე, ხელს შეუწყობს ეკოსისტემების შენარჩუნებას, რაც გააძლიერებს კლიმატის ცვლილებასთან, ექსტრემალურ ამინდთან, გვალვასთან,

მიზანი	ამოცანა
	წყალდიდობასა და სხვა სახის კატაკლიზმებთან ადაპტირების უნარს და თანდათანობით გააუმჯობესებს მიწის ნაკვეთებისა და ნიადაგის ხარისხს“.
მიზანი 5: გენდერული თანასწორობა	ამოცანა 5.1 ,,ყველა ადგილას ყველა ქალისა და გოგონას მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირება“; ამოცანა 5.5 ,,პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა“; ამოცანა 5.ა „ზომების განხორციელება და ჩვეულებითი პრაქტიკის შეცვლა ეკონომიკურ რესურსებზე ქალების თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით; ასევე, მიწისა და სხვა ფორმის ქონებისა და მემკვიდრეობის ფლობაზე და კონტროლზე“.
მიზანი 12 - გონივრული მოხმარება და წარმოება	12.8. ამოცანა - „2030 წლისთვის, საქართველოში მყოფი ადამიანებისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების და ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების წესის შესახებ“.

2020 წელს საქართველოს მთავრობამ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, ხუთი გრძელვადიანი შედეგიდან ერთი - შედეგი 3 - მჭიდროდ უკავშირდება სურსათის დანაკარგების, ნარჩენებისა და შეწირულობის საკითხს და გულისხმობს, რომ **2025 წლისთვის საქართველოში მდგრადი, ინკლუზიური და მედეგი ეკონომიკით ყველა დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლებს.**

ფიგურა 1. თანამშრომლობის ხელშეკრულების გრძელვადიანი შედეგი 3

წყარო: გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025 (საქართველოს მთავრობა და United Nations Georgia, 2020).

მიუხედავად იმისა, რომ შედეგი 3-ის მისაღებად საჭირო ამოცანების ჩამონათვალში სურსათის დანაკარგისა და ნარჩენების შემცირება/პრევენცია კონკრეტულად არ არის მოხსენიებული, ეს საკითხი მნიშვნელოვანია აღნიშნული შედეგის მისაღწევად, სასურსათო სისტემების გაძლიერებასა და სოფლის მეურნეობის ინკლუზიურ განვითარებასთან ერთად.

საქართველოსთვის მისადაგებული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულების საპასუხოდ დასახული მიზნები მოიცავს სურსათის

დანაკარგების, ნარჩენებისა და შეწირულობის მართვას, სიღარიბის აღმოფხვრასა და გენდერული უთანასწორობის შემცირებას.

- **ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო**

საკანონმდებლო დონეზე საკვანძო ნორმატიული აქტია **სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი**[13]**,** რომლის მიზანია „ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის და მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება“ (მუხლი 1, ნაწილი 1). ამდენად, სახელმწიფო აღნიშნული კოდექსით პრიორიტეტს ანიჭებს სურსათის უვნებლობის კონტროლსა და მისი ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, და არა სურსათის მარაგების მართვისა და ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობებს. **ნარჩენების მართვის კოდექსი**[14] არეგულირებს ნარჩენების მართვის სფეროს და მიზნად ისახავს, „ხელი შეუწყოს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას.“ კოდექსი განიხილავს სურსათის ნარჩენების მართვის საკითხებსაც, თუმცა სურსათის ნარჩენი ცალკე განმარტებული არ არის და შედის ბიოდეგრადირებად ნარჩენებში. კოდექსი ბიოდეგრადირებად ნარჩენებს განმარტავს შემდეგნაირად – „ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, **სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები,** ბაღის/პარკის ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო“ (მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი). კოდექსი ითვალისწინებს ქვეყანაში ნარჩენების მართვის დაგეგმვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბებას; ამასთანავე, განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვალდებულებას, შეიმუშაოს ნარჩენების მართვის 15-წლიანი ეროვნული სტრატეგია, ასევე, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ - ნარჩენების მართვის 5-წლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა და ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია. გარდა ამისა, კოდექსი ადგენს მუნიციპალიტეტთა ვალდებულებას, შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით არ შემუშავებულა კოდექსით გათვალისწინებული ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია, რომელსაც უნდა განესაზღვრა მიზნები და განსახორციელებელი ღონისძიებები ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შესამცირებლად.

კანონმდებლობის ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში არ არსებობს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების რეგულირების კონკრეტული პოლიტიკა. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა ცალკეული პოლიტიკის დოკუმენტებია, რომლებიც უკავშირდება ნარჩენების მართვას, პრევენციას, შემცირებას, გადამუშავებასა და გადანაწილებას. ისინი კონკრეტულად არ ეხება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნარჩენების მართვის კოდექსით დასახული მიზნები პირდაპირ არ ეხმიანება გენდერული თანასწორობის საკითხებს. გენდერული ზეგავლენის შეფასების ჯგუფმა მიმოიხილა ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია[15] და სფეროს მარეგულირებელი სხვა სტრატეგიული დოკუმენტები (იხ. ცხრილი 1). მიმოხილვის შედეგად დადგინდა, რომ სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვას, როგორც ცალკე მდგომ სფეროს, არ ეთმობა

[13] *სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25.05.2012, https://tinyurl.com/zvtxthxm*

[14] ნარჩენების მართვის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 12.01.2015, https://tinyurl.com/2v5jvx4n

[15] ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, https://tinyurl.com/5dthfc6d

ყურადღება; ასევე არ იკვეთება მისი კავშირი სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან. ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების პროცესი არ ითვალისწინებს სექტორში არსებული გენდერული უთანასწორობების შესწავლას, ასევე, ქალისა და კაცის განსხვავებულ საჭიროებებს, როლსა და მნიშვნელობას სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვაში. როცა ქვეყანაში არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო მოწესრიგება კონკრეტულად სურსათის ნარჩენებისა თუ დანაკარგების შესამცირებლად და სურსათის შეწირულობის წასახალისებლად და ეს საკითხი სხვა, უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილად განიხილება, ცხადია, ძალიან რთულდება ამ სფეროში პოლიტიკის გენდერული მგრძნობელობის შეფასებაც.

ცხრილი 2. სურსათის დანაკარგების, ნარჩენებისა და შეწირულობის მარეგულირებელი სტრატეგიული დოკუმენტების გენდერული შეფასების შედეგები

სტრატეგიული დოკუმენტი	გენდერული შეფასების შედეგები
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021- 2027	სტრატეგია ითვალისწინებს სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიცირებას/განვითარებას, ასევე, სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. იგი აერთიანებს 3 მიზანსა და 16 ამოცანას. მე-3 მიზანი ეხება სურსათის უვნებლობის დაცვის ეფექტიან სისტემებს. მიზანი 3 – „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები“- მოიცავს შემდეგ 4 ამოცანას: 3.1 ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება; 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან; 3.3 ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება; 3.4 სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა. **სტრატეგია არ ფარავს სურსათის მართვის სისტემების საკითხებს**. ამასთან, გენდერულ ჭრილში სამინისტროს დოკუმენტით გათვალისწინებული აქვს მხოლოდ შემდეგი ზოგადი ჩანაწერი მონიტორინგის ნაწილში - „ეტაპობრივად დაიწყება გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების მონაცემების შეგროვება და დამუშავება.“ ეს ჩანაწერი ვერ უზრუნველყოფს გაზომვადი შედეგების იდენტიფიცირებას; არ არის განსაზღვრული დასახული ამოცანის შესრულების კონკრეტული ინდიკატორებიც.
ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების	სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროპის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან.

სტრატეგიული დოკუმენტი	გენდერული შეფასების შედეგები
ეროვნული სტრატეგია ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2016-2020	საქართველოში ნარჩენების მართვის ხედვა ასეთია: საქართველო ისწრაფვის, გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა, რაც მიიღწევა შემდეგი ნაბიჯებით: • ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარება; • მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; • ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვა; • ხარჯების სრული ამოღების დანერგვა; • მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვა; • საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბება. ნარჩენების მართვის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა არ ეხმიანება გენდერული თანასწორობის საკითხებს, ასევე, არ ითვალისწინებს ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებებს ნარჩენების მართვის საკითხებთან მიმართებით. სტრატეგიის არცერთი მიზანი და შესაბამისი ინდიკატორი არ არის მოცემული გენდერულ ჭრილში.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021–2027	სტრატეგიის პრიორიტეტები ფოკუსირებულია ა) ეკონომიკის, ბ) გარემოს დაცვისა და გ) სოციალურ მიზნებზე. ამ სამი მიმართულებით, სურსათის დანაკარგებს, ნარჩენებსა და შეწირულობას უკავშირდება შემდეგი ქვემიზნები. ა) ეკონომიკა ქვემიზანი 6: საკვები პროდუქციის შექმნის ჯაჭვის განვითარების, დამუშავების, მარკეტინგისა და ცხოველთა კეთილდღეობის ხელშეწყობა. ბ) გარემო ქვემიზანი 4. ეკოსისტემების აღდგენა და გაძლიერება - სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა გ) სოციალური ქვემიზანი 6. სოფლად სოციალური ინტეგრაციის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. სტრატეგია ცალკე არ გამოყოფს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვას. სურსათის მარაგებისა და ნარჩენების მართვის საკითხები არ არის გაწერილი ცალკე მიზანსა თუ ამოცანებში. თუმცა, ეკონომიკის მიმართულებაში საკვები პროდუქტების შექმნის ჯაჭვისა და სოფლად სიღარიბის დაძლევის ნაწილი ითვალისწინებს ქალთა ხელმისაწვდომობის გაძლიერებას, ასევე,

სტრატეგიული დოკუმენტი	გენდერული შეფასების შედეგები
	პროფესიული გადამზადებისა და ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამებში ჩართულობის წახალისებას.

საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე დასახული მიზნების შესწავლამ ცხადყო, რომ ეროვნულ დონეზე არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სექტორულ კანონმდებლობაში სრულად აისახა საერთაშორისო დონეზე გაცხადებული მიზნები, თუმცა **სტრატეგიულ დოკუმენტებში სათანადოდ არ ასახულა ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები და მათი საზომი ინდიკატორები.**

კანონის **რეგულირების სფეროში არ ხვდება სურსათის მარაგების მართვა,** ის მხოლოდ ფრაგმენტულად არის გათვალისწინებული ნარჩენების მართვის ნაწილში. **სათანადო ყურადღება არ ეთმობა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და არ არის გაანალიზებული გენდერული თანასწორობის საკითხები.**

1.3. „სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივის გენდერული რელევანტურობა

საკანონმდებლო ინიციატივას *„სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“,* მისი მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გენდერული თანასწორობის გაძლიერებაზე. ამ საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის პოლიტიკის შემუშავებისას, რადგან არსებული გენდერული უთანასწორობა ამ სფეროებშიც გამოწვევაა.

წინამდებარე თავი ეთმობა სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის გენდერული რელევანტურობის დადგენას და აჩვენებს ყველა არსებულ ან შესაძლო კავშირს ამ სფეროში შემუშავებულ პოლიტიკასა და გენდერულ უთანასწორობას შორის. გენდერული შესაბამისობა შეფასდა სამივე მიმართულებით (დანაკარგი, ნარჩენი და შეწირულობა) და ეყრდნობა საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვას. გენდერული ზეგავლენის მეთოდოლოგიის თანახმად, შეფასებისას გამოყენებულია ოთხი კრიტერიუმი: (1) მონაწილეობა, (2) რესურსები, (3) ნორმები და ღირებულებები, (4) უფლებები.

1.3.1. სურსათის დანაკარგები

სურსათის დანაკარგების გენდერული პერსპექტივიდან გაანალიზება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და გენდერული ურთიერთობები გავლენას ახდენს ქალისა და კაცის ადგილსა და როლზე კვების ღირებულების ჯაჭვში. სურსათის დანაკარგის მიზეზი მრავალგვარია, მათ შორისაა: მოსავლის აღების არაეფექტიანი ტექნიკა და საშუალებები, ინფრასტრუქტურისა და შემნახველი საწყობების სიმცირე, გაციების სისტემებისა და შენახვის

ტექნოლოგიების გაუმართაობა, ექსპერტული ცოდნის ნაკლებობა და სხვა. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ გენდერული სტერეოტიპები და სოციალურ-კულტურული ნორმები კიდევ უფრო ამწვავებს სურსათის დანაკარგის პრობლემას. შედეგად, ქალებს უფრო შეზღუდული წვდომა აქვთ სურსათის ღირებულებით ჯაჭვსა და რესურსებზე, მათ შორის, ინფრასტრუქტურაზე, ინფორმაციაზე, ტექნოლოგიებსა და შრომით ბაზარზე, რაც ზრდის სურსათის დანაკარგებს (FAO, 2011).

სოციალური ნორმები კვების ღირებულების ჯაჭვში სხვადასხვა პროცესს განსაზღვრავს (კერძოდ, ვინ წარმართავს მათ, როგორ, სად, როდის და რა პირობებში) და გავლენას ახდენს რესურსებისა და სარგებლის განაწილებაზე მონაწილეთა შორის. გენდერული უთანასწორობა, დისკრიმინაციული დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის გამო, იწვევს სხვადასხვა შეზღუდვას, რომლებსაც ქალები და კაცები აწყდებიან თავიანთი საქმიანობისას საჭირო რესურსებზე წვდომისა და კონტროლის მიმართულებით. ეს კვების ღირებულების ჯაჭვის ეფექტიანობაზე მრავალი თვალსაზრისით აისახება (FAO, 2018).

ქალების განსაკუთრებულ როლს კვების ღირებულების ჯაჭვში ხაზს უსვამს ფაქტი, რომ მსოფლიოს სოფლის მეურნეობის სექტორში ქალები წარმოადგენენ სამუშაო ძალის, დაახლოებით, 37%-ს (FAO, 2020). მსოფლიოს არაერთ რეგიონში ისინი მთავარ როლს ასრულებენ წარმოებისა და მოსავლის აღების შემდგომ საქმიანობაში, მოსავლის დახარისხებაში, გადამუშავებასა და შენახვაში. 2020 წლის მონაცემებით, საქართველოში ქალები წარმოადგენენ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დასაქმებულთა 36.6 %-ს (90.3 ათასი ქალი). ამავე წლის მონაცემებით, თვითდასაქმებულ ქალთა 46,2% უსასყიდლოდ მუშაობს ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში, კაცების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 14.2%-ია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021). ამასთანავე, საქართველოში ქალები აუნაზღაურებელ და საშინაო შრომაზე 3-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ, კაცებთან შედარებით, განურჩევლად დასაქმების სტატუსისა. ქალების თქმით, ისინი, დაახლოებით, 45 სთ-ს ხარჯავენ ოჯახურ საქმეებზე, ხოლო კაცები - მხოლოდ 15 სთ-ს (UN Women, 2018).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სურსათის დანაკარგის შემცირების პოლიტიკის შემუშავებისას, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს ღირებულებათა ჯაჭვში არსებული გენდერული უთანასწორობა შესაბამის ინფრასტრუქტურაზე, რესურსებზე, ტექნოლოგიებსა და ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით; ასევე, ქალებისა და კაცების დასაქმების დონე და უთანასწორობები კვების ღირებულების ჯაჭვში. მნიშვნელოვანია სურსათის დანაკარგის გენდერული პერსპექტივების გაანალიზება და პოლიტიკის არსებულ საჭიროებებზე მორგება.

1.3.2. სურსათის ნარჩენები

სურსათის ნარჩენები მნიშვნელოვანი გამოწვევაა მსოფლიოში. მათი არსებობა ნიშნავს, რომ ყველა რესურსი, რომლებიც ჩაიდო სურსათის წარმოების, ტრანსპორტირებისა თუ განაწილების პროცესში, დაიკარგა. ამასთანავე, სასურსათო ნარჩენების კომპოსტირებისას გამოიყოფა მეთანი - ძლიერი სათბური გაზი, რომელსაც წვლილი შეაქვს გლობალური დათბობის პროცესში. სურსათის ნარჩენების არსებობა იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და არ აქვს საკმარისი საკვები, ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა შიმშილისა და სიღარიბის აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, სურსათის ნარჩენების გავლენა შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: გარემოზე გავლენა, ეკონომიკური გავლენა და სოციალური გავლენა (Seberini, 2020).

ამგვარად, მნიშვნელოვანია სურსათის ნარჩენების მდგრადი და სწორი მართვა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში ქალებისა და კაცების როლი განსხვავდება; შესაბამისად, სასურსათო ნარჩენების მართვის პოლიტიკის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ეს განსხვავებებიც.

სურსათის ნარჩენების უდიდესი ნაწილი მოდის შიდა მეურნეობებზე. როგორც ანგარიშის დასაწყისში ითქვა, 2019 წლის შეფასებით, მსოფლიოში სურსათის ნარჩენების 61% წარმოიქმნებოდა საოჯახო მეურნეობებში (United Nations Environment Programme, 2021). ცხადია, ეს მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არსებული გენდერული ნორმები, ღირებულებები და საქმეთა განაწილება სურსათის ნარჩენების წარმოქმნის სფეროში.

ამ საკითხის გენდერული შესაბამისობის შეფასებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი განსხვავებები:

ა) **საოჯახო საქმეების განაწილება.** ისეთ ტრადიციულ საზოგადოებებში, როგორიც საქართველოა, ქალები პასუხისმგებელნი არიან ოჯახის მართვასა და საკვებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაზე (მაგ: სურსათის შეძენა, შენახვა, მომზადება, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა და სხვა). სწორედ ასეთი ყოველდღიური შეხებიდან გამომდინარე, ძალიან დიდია ქალების როლი სურსათის ნარჩენების შემცირებაში, გადამუშავებასა და მასთან დაკავშირებული ქცევის მოდელის შეცვლაში (Brenner, 1995).

ბ) **ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო პასუხისმგებლობა.** როდესაც საქმე ეხება დამოკიდებულებას ნარჩენების განკარგვის მიმართ, გენდერი ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორია, ძირითადად, საყოფაცხოვრებო პასუხისმგებლობათა სეგრეგაციის გამო. საქართველოში უმეტესწილად ქალები კისრულობენ საოჯახო საქმეების გაძღოლას, მათ შორის, საკვებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ნარჩენებსაც ქალები უფრო მეტად წარმოქმნიან.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები უფრო ხშირად ყიდულობენ ადგილობრივ და ორგანულ საკვებს, რადგან მეტად არიან დაინტერესებულნი საკვებთან დაკავშირებული ნუტრიციული და მდგრადობის ასპექტებით (Cholette, Ozluk, Ozsen, & Ungson, 2003). აღნიშნული ამცირებს ქალების მიერ გადაყრილი საკვების რაოდენობას, რადგან, კვლევების მიხედვით, ადამიანები, რომლებიც ადგილობრივი წარმოების პროდუქტს ყიდულობენ, ნაკლებ ბოსტნეულს, ხილსა და, ზოგადად, საკვებ პროდუქტს კარგავენ (Jorissen, Priefer, & Brautigam, 2015). რაც შეეხება კაცებს, ისინი ნაკლებად არიან ჩართულნი საკვები პროდუქტების შეძენაში, შენახვასა და მომზადებაში; შესაბამისად, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ნარჩენების წარმოქმნის შემცირებასა და უკვე წარმოქმნილი ნარჩენის სეპარირება-განკარგვას (Woroniuk & Schalkwyk, 1998).

მნიშვნელოვანია, ნარჩენების მართვის პოლიტიკა სწორად მოერგოს ქალებისა და კაცების განსხვავებულ როლებს ნარჩენების დახარისხებისა და მართვის პროცესში. გარემოსდაცვითი გზავნილებიც უფრო ეფექტიანია, როდესაც ზუსტად არის მორგებული შესაბამის სამიზნე აუდიტორიას (შესაბამისად, ქალსა და კაცს). მაგალითად, თუ ქალები არიან პასუხისმგებელნი ორგანული ნარჩენების განკარგვაზე, ისინი უნდა იყვნენ ამ მესიჯების პირდაპირი სამიზნეები. შესაძლოა, სპეციალური საკომუნიკაციო გეგმების შემუშავებაც გახდეს საჭირო ინფორმაციის სწორად მისაწოდებლად (Woroniuk & Schalkwyk, 1998).

გ) თუ როგორ მართავენ ქალები ნარჩენებს, დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე. მათ შორისაა: მიმდინარე **სოციალურ-კულტურულ პროცესები, განათლების დონე, გარემოსდაცვითი ცნობიერება და ქალთა ჩართულობა საზოგადოებაში** (Newberry, 2006). სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი ნდობა ქალებისა და მათი შესაძლებლობებისადმი მნიშვნელოვანია ქალთა გაძლიერებისთვის (Spaargaren, Oosterveer, & Loeber, 2012).

დ) ამასთან, ქალები, როგორც წესი, ნაკლებად განკარგავენ საოჯახო ფინანსებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ნარჩენების წარმოქმნაზეც. მაგალითისთვის, ქალს შეიძლება სურდეს მნიშვნელოვანი ფინანსების დახარჯვა ნარჩენების განთავსებასა თუ გადამუშავებაზე, მაგრამ მეუღლე არ

თვლიდეს ამას საჭიროდ. ამავდროულად, ქალები მეტად ფიქრობენ იმაზე, თუ რა უარყოფითი გავლენა აქვს საკვებ ნარჩენებს ოჯახის ბიუჯეტზე და ცდილობენ, აირიდონ ზედმეტი საკვების ან ისეთი პროდუქტების შეძენა, რომელთა ვარგისიანობის ვადაც მალე იწურება (Cantaragiu, 2019). ამდენად, ქალები მზად არიან, მეტი დრო დაუთმონ საკვები პროდუქტების არჩევასა და ნარჩენების სწორ მართვას, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, დატვირთულობის, კერძოდ, საშინაო საქმეების გაძღოლისა და აუნაზღაურებელი შრომის გამო, კაცებზე ბევრად ნაკლები თავისუფალი დრო აქვთ (Woroniuk & Schalkwyk, 1998). ზოგადად, მკვლევრებს არ აქვთ საერთო პოზიცია სურსათის ნარჩენების მართვაზე გენდერის გავლენასთან მიმართებით. ზოგიერთი კვლევის თანახმად, ქალები, კაცებთან შედარებით, ნაკლებად გარდაქმნიან სურსათს ნარჩენებად (Principato, Secondi, & Pratesi, 2015), მაშინ, როდესაც სხვა კვლევის მიხედვით, მარტოხელა ქალები უფრო მეტ საკვებ ნარჩენს წარმოქმნიან, ვიდრე მარტოხელა კაცები ან წყვილები (Koivupuro, et al., 2012). თუმცა, კვლევების ნაწილი აჩვენებს რომ, ახალგაზრდა კაცები და ქალები ერთი და იმავე რაოდენობის საკვებ ნარჩენებს წარმოქმნიან. ასეთი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნები მიანიშნებს, რომ ქალების ქცევა შესაძლოა შეიცვალოს ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც იწვევს მათი როლისა და პასუხისმგებლობების ცვლილებას (Cantaragiu, 2019).

კვლევებმა აჩვენა, რომ ქალებს ხშირად აქვთ დანაშაულის გრძნობა, როდესაც საკვებ ნარჩენებს წარმოქმნიან, ან საკვები პროდუქტების გადაყრა უწევთ, რადგან ფიქრობენ, რომ სათანადოდ ვერ ახერხებენ საოჯახო საქმეების გაძღოლას და ოჯახის წევრთა საკვებით უზრუნველყოფას (Cappellini & Parsons, 2012). თუმცა, ასეთი მკვეთრი სხვაობა ქალებსა და კაცებს შორის, ასაკის მატებასთან ერთად - განსაკუთრებით 40-50 წლის შუალედში - მკვეთრად მცირდება (Cantaragiu, 2019). გენდერი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია სურსათის ნარჩენების წარმოქმნისა და მათი შემცირების პროცესში (Everitt, Werf, Seabrook, Wray, & Gilliland, 2022). პანდემიის დროს კვლევებმა აჩვენა, რომ ქალები მეტ ყურადღებას აქცევდნენ საკვების ნარჩენების მართვას და ცდილობდნენ მათ შემცირებას; ამასთან, ქალებს მეტად აშფოთებთ ასეთი ნარჩენების უარყოფითი ზემოქმედება და მიდრეკილნი არიან სასურსათო დანაკარგის შემცირებისკენ (Iranmanesh, et al., 2022).

1.3.3. სურსათის შეწირულობა

სურსათის შეწირულობა არის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი გზა სასურსათო ნარჩენების წარმოქმნის პრევენციისათვის. შეწირულობა საშუალებას აძლევს საზოგადოებას, ერთი მხრივ, აირიდოს სურსათის ნარჩენის წარმოქმნა და, მეორე მხრივ, წვლილი შეიტანოს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრასა და სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებაში. FAO სასურსათო დაუცველობას შემდეგნაირად განმარტავს: „ადამიანი განიცდის სასურსათო დაუცველობას, როცა არ აქვს სტაბილური წვდომა საკმარის უსაფრთხო და ნოყიერ საკვებზე, რომელიც საჭიროა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის, ასევე, აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისთვის. სასურსათო დაუცველობა შეიძლება გამოიწვიოს სურსათის არარსებობამ, ან სურსათის მისაღებად საჭირო რესურსების არქონამ“ (FAO, 2022). შესაბამისად, ეს ფართო ცნებაა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანთა ზოგად კეთილდღეობას და მოიცავს სურსათის ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას, ასევე, სტაბილურ მოხმარებას.

სასურსათო დაუცველობა ძალიან მჭიდროდ უკავშირდება გენდერულ უთანასწორობას, კერძოდ, **ქალები და გოგონები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან სასურსათო დაუცველობის მხრივ.** სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეფასებით, 2019 წელს 2 მილიარდზე მეტი ადამიანი (690 მილიონი ადამიანი - მსოფლიო მოსახლეობის 8.9%) განიცდიდა სასურსათო დაუცველობის ზომიერ და

მძიმე ფორმებს[16], მათი 60% კი გოგონები და ქალები არიან (CARE, 2020). 2017 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი არასაკმარისად იკვებება და არ იღებს მრავალფეროვან კვებით ულუფას. ამასთანავე, მოსახლეობის დიდი ნაწილი სასურსათო უსაფრთხოების[17] დაკარგვის წინაშე დგას ამინდის ცვალებადობისა და წარმოების მერყეობის გამო (OXFAM, 2017). გენდერული სხვაობა სურსათისა და კვების უსაფრთხოებაში **კიდევ უფრო დიდია ღარიბ, ნაკლებად განათლებულ, უმუშევარ ან სხვაგვარად მარგინალიზებულ ჯგუფებში** (Keulertz, Mulligan, & Allan, 2020). ამას ემატება ისიც, რომ, როგორც წესი, ქალები, კაცებთან შედარებით, მეტად ცხოვრობენ უკიდურეს სიღარიბეში. გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამისა და პარდის საერთაშორისო მომავლის ცენტრის ახალი პროგნოზებით, პანდემიის შემდეგ, 2022 წელს, გლობალურად უფრო მეტი ქალი და გოგონა იცხოვრებდა უკიდურეს სიღარიბეში (388 მილიონი), კაცებსა და ბიჭებთან შედარებით (372 მილიონი) (UN Women, UNDP and the Frederick S. Pardee Center for International Futures, 2020).

სიღარიბის გლობალური მრავალგანზომილებიანი ინდექსის (MPI) მიხედვით, 2020-2021 წელს, 111 ქვეყანაში 1,2 მილიარდი ადამიანი, ანუ მოსახლეობის 19,1%, მწვავე სიღარიბეში ცხოვრობდა. ამ ადამიანების ნახევარი (593 მილიონი) 18 წლამდე ასაკის ბავშვია; ღარიბი მოსახლეობის თითქმის 83% (964 მილიონი) ცხოვრობს სოფლად, ხოლო 17% (198 მილიონი) ქალაქებში; სიღარიბეში მცხოვრები ყოველი ექვსი ოჯახიდან ერთში ოჯახის უფროსი ქალია (United Nations Development Programme and Oxford Poverty and Human Development Initiative, 2022).

საკვების ნაკლებობას სერიოზული უარყოფითი შედეგები აქვს ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, მათ შორის, ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. აღსანიშნავია, რომ **ეს გავლენა უფრო გამოხატულია გოგონებსა და ქალებში, ვიდრე ბიჭებსა და კაცებში, სხვადასხვა გარემო ფაქტორის გამო** (Belachew, et al., 2011). კონკრეტულად: კვლევები აჩვენებს, რომ გოგონები, რომლებიც არაჯანსაღი სურსათით იკვებებიან, უფრო ხშირად ავადდებიან, აქვთ ცუდი ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაღლილობის შეგრძნება, ვიდრე ბიჭებს, მათი კვების სტატუსის, დიეტის მრავალფეროვნებისა და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებისგან დამოუკიდებლად (Belachew, et al., 2013). ამასთან, სოციალური ნორმები რომლებიც უპირატესობას ანიჭებს ბიჭებს (გოგონებთან შედარებით), გავლენას ახდენს საკვებისა და ზრუნვის საჭიროებათა განაწილებაზე ოჯახის წევრებს შორის. ოჯახში ქალის სუსტი პოზიცია აისახება ქალებისა და გოგონების კვების ხარისხზე, რომელიც ნაკლებად ნოყიერია (OXFAM, 2019). ე.ი. სხვადასხვა გარემოში სოციალურმა ნორმებმა გოგონები და ქალები შეიძლება ჩააყენოს არახელსაყრელ მდგომარეობაში, შედეგად კი გენდერული სტერეოტიპები გამოიხატოს შეზღუდული წვდომით ჯანდაცვაზე და კვების რესურსების არათანაბარი განაწილებით (Belachew, et al., 2013).

სიღარიბე ქალის მიერ მართულ შინამეურნეობებში გავლენას ახდენს მათ კვებაზე: მაღალხარისხიანი, მრავალფეროვანი საკვების შეძენისა ან მოყვანის უნარის შემცირების გამო, ისინი ხშირად გადადიან უფრო იაფ და ნაკლებად მრავალფეროვან რაციონზე, რომელსაც ხშირად აკლია ორსული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის საჭირო ძირითადი საკვები ნივთიერებები (OXFAM, 2019). მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2019 წლის მონაცემებით, მსოფლიოში რეპროდუქციული ასაკის ქალთა მესამედს აქვს ანემია, როგორც წესი, რკინადეფიციტური რაციონის გამო. ეს რისკებს უქმნის მათი შვილების

[16] შენიშვნა: სასურსათო დაუცველობის ზომიერი ფორმა გულისხმობს არასრულფასოვან კვებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს რიგი დარღვევები (მაგ: ბავშვებში ჩამორჩენა, კალციუმისა და ვიტამინების ნაკლებობა, ან სიმსუქნე მოზრდილებში), ხოლო ადამიანები, რომლებიც განიცდიან სურსათის უსაფრთხოების მძიმე ფორმას, არიან შიმშილის ზღვარზე და თითქმის არ იკვებებიან. წყარო: https://tinyurl.com/2tajw26e.

[17] *სასურსათო უსაფრთხოება გულისხმობს ყველა ადამიანის ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისთვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების უვნებელ სურსათზე. წყარო: FAO. Food Security. Policy Brief. https://tinyurl.com/3www4yf7*

ჯანმრთელობასაც და გრძელვადიან გავლენას ახდენს განვითარებაზე (WHO Global Aneamia Estimate, 2021).

ფინანსური, ეკონომიკური და სხვა სახის კრიზისები ზრდის ზოგადად მოსახლეობისა და, განსაკუთრებით, ქალების მოწყვლადობას სასურსათო უსაფრთხოების კუთხით. მიმდინარე COVID-19-ის კრიზისი ამის კარგი მაგალითია. პანდემიამ საგრძნობლად შეამცირა იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც ხელეწიფებათ საკვების სტაბილურად ყიდვა; ასევე, დაარღვია სურსათის მიწოდების ჯაჭვი, რამაც გამოიწვია სურსათზე ფასების ზრდა. მზარდი ფასების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დონაციის წახალისება. ასეთ პოლიტიკას, ზოგადი სოციალური ფონის გაუმჯობესების გარდა, შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე ქვეყნის ყველაზე შეჭირვებულ ფენაში. 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 17.5% ცხოვრობს (სულ 652 316 ადამიანი, მათ შორის, 330 268 ქალი და 322 048 კაცი).[18]

არსებული გენდერული როლებისა და საჭიროებების ანალიზი, გენდერული განსხვავებები ტექნოლოგიებსა და შესაბამის ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით, ასევე, ქალებისა და კაცების განსხვავებული ჩართულობა სურსათის წარმოების ჯაჭვში, მიუთითებს, რომ სურსათის შეწირულობისა და ნარჩენების შემცირების მექანიზმთა განვითარება გენდერულად რელევანტური საკითხია, რომელსაც შეუძლია, მრავალმხრივი გავლენა მოახდინოს გენდერულ თანასწორობაზე.

[18] *შენიშვნა: სასურსათო დაუცველობის ზომიერი ფორმა გულისხმობს არასრულფასოვან კვებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს რიგი დარღვევები (მაგ: ბავშვებში ჩამორჩენა, კალციუმისა და ვიტამინების ნაკლებობა, ან სიმსუქნე მოზრდილებში), ხოლო ადამიანები, რომლებიც განიცდიან სურსათის უსაფრთხოების მძიმე ფორმას, არიან შიმშილის ზღვარზე და თითქმის არ იკვებებიან. წყარო: https://tinyurl.com/2tajw26e.*

II თავი

„სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივის გენდერული ანალიზი

2.1. სურსათის წარმოებაში არსებული გენდერული უთანასწორობები

გენდერული ზეგავლენის შეფასების სამუშაო ჯგუფმა სიღრმისეული გენდერული ანალიზისას მიმოიხილა კანონპროექტის ძირითადი სამიზნე ჯგუფების გენდერული განაწილება და გენდერული უთანასწორობის ტენდენციები სურსათის დანაკარგების, ნარჩენების წარმოქმნისა და სურსათის შეწირულობის სფეროებში. შემდგომ ეტაპზე კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებები შეადარა არსებულ ტენდენციებს და შეაჯამა კანონპროექტის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე.

მიმდინარე კვლევის ფარგლებში ჯგუფმა შეისწავლა სოფლის მეურნეობაში დასაქმების გენდერული განაწილება, ამ კუთხით არსებულ ნორმებსა და ღირებულებებთან ერთად, რადგან ისინი გავლენას ახდენს სურსათის დანაკარგებზე ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, 2020 წელს დასაქმებულ ქალთა 16.5% (90.3 ათასი) მუშაობდა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში. ანალოგიური მაჩვენებელი კაცების შემთხვევაში იყო 22.4% (156 ათასი) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021). **ქალები, ძირითადად, ჩართულები არიან ოჯახის საკუთრებაში არსებული მიწის დამუშავებაში, თუმცა ეს ნაკლებად მოქმედებს მათი ეკონომიკური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის გაუმჯობესებაზე, რადგან:**

ა) როგორც წესი, **ქალები უსასყიდლოდ მუშაობენ.** 2020 წლის მონაცემებით, თვითდასაქმებულ ქალთა 46.2% უსასყიდლოდ მუშაობდა ოჯახურ მეურნეობაში/საწარმოში, მაშინ, როცა კაცების ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 14.2% იყო (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021);

ბ) **ქალები ნაკლებად არიან სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეები.** 2021 წლის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეებში კაცების წილი (67.9%) მნიშვნელოვნად აღემატებოდა ქალებისას (32.1%). რაც შეეხება საოჯახო მეურნეობათა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის გენდერულ განაწილებას, მთლიანი ფართობის, საშუალოდ, 80.7% კაცებს ეკუთვნით, ხოლო 19.3% - ქალებს.[19]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ქალებსა და კაცებს ქონების ფლობისა და მემკვიდრეობის თვალსაზრისით თანაბარ მდგომარეობაში აყენებს, თუმცა **დისკრიმინაციული სამემკვიდრეო პრაქტიკის, გენდერულად სტერეოტიპული მიდგომებისა და ქალთა შეზღუდული ეკონომიკური აქტივობის გამო, ქალები ნაკლებად ფლობენ უძრავ ქონებას**. ამასთან, არსებული სოციალური ნორმების შედეგად, ქალებს ხშირად ეზღუდებათ მემკვიდრეობის უფლება დაქორწინების

[19] *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სასოფლო მეურნეობებისა და მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის განაწილება. იხ. https://tinyurl.com/2p6mmev2*

პარალელურად. შედეგად, მათ ნაკლები წვდომა აქვთ როგორც ბიოლოგიური ოჯახის, ისე ქმრისა ან მისი ოჯახის კუთვნილ უძრავ ქონებაზე. ამ პრაქტიკის ერთ-ერთი შედეგია ქალთა შეზღუდული წვდომა ფინანსებსა და საკრედიტო პროდუქტებზე. შედეგად, ქალების მხოლოდ 19%-ს აქვს სესხი უძრავი ქონების უზრუნველყოფით. საქართველოში კაცების 61.5% უძრავ ქონებას იღებს მემკვიდრეობის ან ჩუქების გზით, ქალების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 26.4%-ს შეადგენს (UN Women, 2018).

საქართველოში სოფლად მცხოვრები ქალები თავიანთ თავს **ძალიან იშვიათად აღიქვამენ ფერმერებად**, რადგან თავიანთ შრომას ოჯახურ მოვალეობად აღიქვამენ (FAO, 2018). იმის გამო, რომ მოსახლეობა (მათ შორის, თავად ქალების ჯგუფიც) ქალს ძირითადად საოჯახო საქმეში დამხმარედ აღიქვამს, მათი შრომა უმეტეს შემთხვევაში აუნაზღაურებელი და არაფორმალურია. გარდა ამისა, დასაქმებულ ქალებს სოფლის მეურნეობის ყველა სექტორში, ისევე როგორც სხვა სფეროებში უფრო ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე კაცებს. 2020 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულ ქალთა შემოსავალი, საშუალოდ, იყო 630.7 ლარი - იმავე სექტორში კაცის შემოსავლის 70% (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021). ზოგადი გენდერული სტატისტიკის მიხედვით, **კაცებს საქართველოში უფრო მაღალი მენეჯერული პოზიციები უკავიათ და მეტი შემოსავალი აქვთ სოფლის მეურნეობის დარგში,** სადაც განსაკუთრებით ცოტა ქალია ოფიციალურად დასაქმებული (FAO, 2018).

საქართველოში ქალებს ნაკლები წვდომა ენიჭებათ სატრანსპორტო სისტემაზე, კაცებთან შედარებით. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2021). ტრანსპორტირების პრობლემა სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზია (Lipinska, Tomaszewska, & Kołozyn-Krajewska, 2019). ISET-ის შეფასებით, პანდემიის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ქალი მწარმოებლები, მკაცრი იზოლაციისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის გამო, გაყიდვების მნიშვნელოვან კლებაზე მიუთითებდნენ. ქალი მწარმოებლები მუნიციპალურ ბაზრებამდე მისასვლელად საზოგადოებრივ ტრანსპორტს იყენებდნენ, რაც შეუძლებელი იყო პანდემიისა და მკაცრი იზოლაციის პერიოდში ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვის გამო. რაც შეეხება კაც მწარმოებლებს, ისინი კერძო მანქანებითა და მიკროავტობუსებით ახერხებდნენ საკუთარი პროდუქტის დანიშნულების ადგილზე მიტანას (ISET-PI, 2020).

სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევით, საქართველოში მცხოვრებ ქალებს არ აქვთ თანაბარი წვდომა გადაადგილების სხვადასხვა საშუალებაზე, რაც უკავშირდება სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ხარვეზს. კერძოდ, ქალების მობილობის მაჩვენებელი განსხვავდება ქალაქებსა და სოფლებში, სატრანსპორტო სისტემის გაუმართაობის გამო. ამასთან, მათი დიდი ნაწილი სახლიდან გადის არა საკუთარი, არამედ მასზე დამოკიდებული ოჯახის წევრების საჭიროებებისთვის (საქართველოს სახალხო დამცველი, 2020).

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივით, ამჟამად მიმდინარეობს თემატური მოკვლევა ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ. მოკვლევის წინასწარი შედეგებით:

- ბოლო წლებში ინფრასტრუქტურულ რესურსებზე ქალთა წვდომის კუთხით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, დღესდღეობით ეს საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება;
- საყურადღებოა მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა და ადგილზე მოქმედი კერძო კომპანიების თვითნებური მუშაობა. ეს ხშირად გამოიხატება სამგზავრო განრიგის ქაოტურობითა და მოუწესრიგებლობით და ამცირებს მუნიციპალურ ტრანსპორტზე წვდომას მასზე დამოკიდებულ პირთათვის.

საქართველოში განსხვავდება **ქალებისა და კაცების წვდომა ციფრულ ტექნოლოგიებზეც.** ახალი კვლევებით საწარმოო პროცესის შესახებ, ციფრული ტექნოლოგიები სურსათის დანაკარგების ოდენობაზე მოქმედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია (Benyam, Some, & Fraser, 2021). საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის 2019 წლის მონაცემებით, საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა თანაფარდობა გლობალურ საშუალო მაჩვენებელზე მაღალია და ქალების შემთხვევაში შეადგენს 61.2%-ს, კაცების შემთხვევაში კი - 64.5%-ს. მობილური ტელეფონის ფლობის თვალსაზრისით, სქესთა შორის განსხვავება მხოლოდ 3%-ია, თუმცა სოფლებსა და ქალაქებს შორის ეს განსხვავება ნიშანდობლივია (UN Women, 2020). საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის (ITU) 2021 წლის მონაცემებით, ინტერნეტზე წვდომა შინამეურნეობების 86%-ს აქვს, ხოლო კომპიუტერი სახლში აქვს 64%-ს. სოფლად ინტერნეტზე წვდომა შინამეურნეობათა 74%-ს აქვს. საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 76%-ია, ხოლო კაცების შემთხვევაში - 77%. მობილურ ტელეფონს ფლობს ქალების 90% და კაცების 93%.[20]

ციფრული უნარების თვალსაზრისით, სქესთა შორის განსხვავება კიდევ უფრო დიდია მოწყვლად ჯგუფებში (სიღარიბე, განათლების დაბალი დონე, ფორმალური დასაქმების ნაკლებობა, სიახლოვე გამყოფ ხაზებთან). ამასთან, ქალები უფრო ნაკლებ დროს ხარჯავენ ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობასა და საკუთარი უნარების გაუმჯობესებაზე, რადგან მეტ დროს უთმობენ საშინაო შრომას და სხვა აქტივობებისა და სწავლისთვის დრო არ რჩებათ. პარალელურად, ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომაში მათ ხელს უშლის გენდერული სტერეოტიპები და ოჯახში არსებული ძალადობრივი ურთიერთობებიც: როგორც წესი, მოძალადე (ძირითადად კაცი) მსხვერპლს (ძირითადად ქალს) მობილური ტელეფონის გამოყენებას უზღუდავს. გარკვეულ როლს თამაშობს ისეთი სტერეოტიპებიც, როგორიცაა შეხედულება, რომ ტექნოლოგია მხოლოდ კაცების საქმეა (UN Women, 2018).

საკანონმდებლო ინიციატივა სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის შესახებ მიზნად ისახავს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებისა და სასწავლო აქტივობების განხორციელებას სურსათის დანაკარგების მიმართულებით, ასევე, მონაცემთა შეგროვების სისტემის გაუმჯობესებას. ამ სფეროში კონკრეტული საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა წინ გადადგმული ნაბიჯია სურსათის დანაკარგის შესამცირებლად, თუმცა **კანონპროექტი საკმაოდ ზოგადია და არ ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ გენდერულ უთანასწორობებს სურსათის დანაკარგებთან მიმართებით.** შესაბამისად, აუცილებელია, ჩარჩო კანონი და თანმდევი ნორმატიული აქტები ითვალისწინებდეს სოფლის მეურნეობის სფეროსა და სურსათის დანაკარგებთან დაკავშირებულ გენდერულ უთანასწორობებს, როგორიცაა ქალების ნაკლები ჩართულობა ანაზღაურებად საქმიანობაში, მიწის არათანაბარი ფლობა, არათანაბარი წვდომა ინფორმაციასა თუ ტექნოლოგიებზე, ასევე, ტრანსპორტზე და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, კანონპროექტი (და შემდგომ კანონი) დადებით გავლენას მოახდენს გენდერულ თანასწორობაზე და შეამცირებს არსებულ უთანასწორობებს. **სასურველია, კანონპროექტით დაკონკრეტდეს, რომ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები უნდა იყოს მიზნობრივი და ეფუძნებოდეს არსებული სიტუაციის შესწავლას, ასევე - ქალებისა და კაცების განსხვავებულ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს სურსათის დანაკარგებთან მიმართებით. ამასთანავე, აღნიშნული კამპანიების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ქალებისა და კაცების განსხვავებული წვდომა ციფრულ ტექნოლოგებზე.**

სურსათის ნარჩენები და დანაკარგები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასურსათო უსაფრთხოების დაცვაში. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში მცირე ფერმერთა უმეტესობა სასურსათო უსაფრთხოების ზღვარზე ცხოვრობს, სურსათის დანაკარგების შემცირებას მნიშვნელოვანი დადებითი

[20] საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის კავშირი. ციფრული განვითარების მონაცემები. https://tinyurl.com/4dnms7fp

გავლენის მოხდენა შეუძლია მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, 2020).

მნიშვნელოვანია, მონაცემები სურსათის დანაკარგების შესახებ იძლეოდეს ამ საკითხის გენდერულ ჭრილში შესწავლის საშუალებას: კერძოდ, კონკრეტულად რა მიმართულებით არის ყველაზე დიდი დანაკარგები, ღირებულებათა ჯაჭვის რა ნაწილებია ამ მხრივ კრიტიკული, ხომ არ უკავშირდება ეს არსებულ გენდერულ უთანასწორობებს და ა.შ. **შესაბამისი მონაცემების არსებობა და მიმდინარე ტენდენციებზე მონიტორინგი აუცილებელი წინაპირობაა სურსათის დანაკარგის შემცირებაზე მიმართული გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის გასატარებლად.**

2.2. სურსათის ნარჩენების მართვის ძირითადი გამოწვევები

ამ კუთხით კონკრეტული პოლიტიკის არარსებობის პირობებში, ძნელია საუბარი სურსათის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ გენდერულ თანასწორობებზე. GIA-ს ჯგუფმა გააანალიზა შესაბამისი სფეროს სამაგიდო კვლევა და არსებული მონაცემები, რამაც აჩვენა, რომ **სურსათის ნარჩენებისა და გენდერის კავშირი საერთოდ არ ექცევა ნარჩენების მართვის პოლიტიკის არეალში; პრაქტიკულად, ქვეყანაში არ არსებობს არანაირი კვლევა ამ მიმართულებით და, ზოგადად, ძალიან დაბალია შესაბამისი პოლიტიკის გამტარებელთა გენდერული მგრძნობელობა**. მეტიც, არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია ზოგადად სურსათის ნარჩენებზე. შესაბამისად, გადაწყდა, რომ საბაზისო სცენარისთვის აქცენტი გაკეთებულიყო სურსათის ნარჩენების მართვის ზოგადი ტენდენციებისა და გამოწვევების მიმოხილვაზე.

ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის თანახმად, 2020 და 2021 წლებისთვის საქართველოს ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების გამოთვლა დაეყრდნო შეგროვებული და ნაგავსაყრელზე განთავსებული მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობას, ასევე, ნარჩენების წარმოქმნის ინდექსს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. გამოთვლების თანახმად, საქართველოში ნარჩენების წარმოქმნის ინდექსმა 2020 წელს **ქალაქებისთვის** შეადგინა საშუალოდ **0,95კგ/მ/დღეში** (კილოგრამი ერთ სულ მოსახლეზე დღიურად, ტურისტების რაოდენობის გათვალისწინების გარეშე), **სასოფლო დასახლებებისათვის კი - 0,54 კგ/მ/დღეში.** შედარებისთვის, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში 2020 წელს ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენი დღეში, საშუალოდ, 1,38 კგ-ს უდრიდა. ევროსტატის მონაცემებით, 2020 წელს ნარჩენების წარმოქმნის ინდექსი ყველაზე მაღალი იყო დანიაში (2,32 კგ/მ/დღეში), ხოლო ყველაზე დაბალი - რუმინეთში (0,78 კგ/მ/დღეში) (Eurostat - Your Key to European Statistics, 2022). ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ნარჩენების მართვა არსებითად განსხვავდება ევროკავშირში დამკვიდრებული ხუთსაფეხურიანი პრაქტიკისგან: პრევენცია ევროპაში საუკეთესო არჩევანია, რასაც მოსდევს ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და გადამუშავების სხვა ფორმები, ნაგავსაყრელზე განთავსება კი ნარჩენების მოშორების ყველაზე უარეს ფორმად მიიჩნევა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემათა ორიენტირად კვლავაც რჩება ნაგავსაყრელებზე განთავსება და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის შემთხვევაში ხერხდება ხელახალი გამოყენება ან რეციკლირება, საქართველოს ნარჩენების წარმოქმნის ინდექსი მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

2021 წელს გაიზარდა წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების საერთო რაოდენობა, 2020 წელთან შედარებით (გრაფიკი 1). 2020-2021 წლის მონაცემებით, ასეთი ნარჩენების, დაახლოებით, 70% წარმოიქმნება ქალაქებში. 2020 წელს მუნიციპალური ნარჩენების საერთო რაოდენობამ შეადგინა

1,061,007 ტონა, ხოლო 2021 წელს - 1,104,952 ტონა (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022).

გრაფიკი 1. საქართველოში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების საერთო რაოდენობა (ტონა)



წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

წარმოქმნილი ნარჩენების ტიპური შემადგენლობისა და ამ ნაკადებში სხვადასხვა კომპონენტის წილის დასადგენად, 2021 წელს გაანალიზდა მათი შემადგენლობა, რამაც აჩვენა, რომ მუნიციპალურ ნარჩენებში ყველაზე დიდი წილი (54.7%) უკავია ორგანულ ნარჩენებს, რომელიც მოიცავს სურსათის ნარჩენებსაც (ცხრილი 3).

აღნიშნულ წილობრივ მაჩვენებელთან მიმართებით, საინტერესოა მსოფლიო ბანკის ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმთა გააზრება. კერძოდ, ამ კრიტერიუმების თანახმად, ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობისა და შემოსავლების ზრდასთან ერთად, მცირდება ორგანული ნარჩენების წილი (მაღალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის - დაახლოებით 32%-მდე) და იზრდება ქაღალდის, პლასტიკისა და სხვა ნარჩენების რაოდენობა. ორგანული ნარჩენების ასეთი დრამატული შემცირება შემოსავლის ზრდასთან ერთად, განპირობებულია ნარჩენების სეპარაციითაც. (World Bank, 2018) ამდენად, ცალსახაა, რომ საქართველოში მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობაში ორგანული ნარჩენების, დაახლოებით, 55%-იანი წილი საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რისი მიზეზიც არის სისტემური სეპარაცია და ევროპის ქვეყნებთან შედარებით დაბალი შემოსავლები.

ცხრილი 3. მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობა. 2021 წელი

მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობა	წილი
ორგანული ნარჩენები	54.7%
პლასტიკის ნარჩენები	13.8%
ქაღალდი და მუყაო	10.6%
ტექსტილი	4.1%
მშენებლობისა და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენი	2.5%
მინა	2.3%
მეტალი	1.4%
სხვა ნარჩენები	11.0%

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მუნიციპალური ნარჩენების **წყაროსთან სეპარირების ჩამოყალიბებული სისტემები.** მართვის არსებული სისტემა მოიცავს ნარჩენების შეგროვებასა და ნაგავსაყრელზე განთავსებას. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და მომსახურების დაფარვის საერთო მაჩვენებელი, არსებული მონაცემებით, შეადგენს 88.89%-ს. აქედან 97.56% არის ქალაქებში და 63.56% - სოფლის დასახლებებში (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022).

ნარჩენების მართვის კოდექსის, ასევე, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის თანახმად, ნარჩენების **სეპარირებული შეგროვების ეტაპობრივი დანერგვა** მუნიციპალიტეტებს უნდა დაეწყოთ 2019 წლიდან, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი ქმედებები არ განხორციელებულა (თუ არ ჩავთვლით ერთეულ საპილოტე პროექტებს თბილისში, ასევე, აჭარის, კახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს, შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონებში).

მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკის თანახმად, პრიორიტეტი ენიჭება ნარჩენების პრევენციასა და **რეციკლირებას,** დღესდღეობით ქვეყნის მასშტაბით შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენები ძირითადად ნაგავსაყრელებზე განთავსდება და არ გადამუშავდება. მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში (თბილისი, ქუთაისი და მარნეული) გროვდება/მუშავდება ბიოდეგრადირებადი ნარჩენები.

საქართველოში არ არსებობს **ბიოდეგრადირებადი ნარჩენების** (მათ შორის, სურსათის ნარჩენის) **შეგროვება-დამუშავების ორგანიზებული სისტემა**. ამჟამად ასეთი ნარჩენები თავსდება ნაგავსაყრელებზე და მხოლოდ ცალკეული ინიციატივების (პროექტების) სახით გროვდება/მუშავდება. ნაწილობრივი

კომპოსტირების საწარმოები მოწყობილია თბილისის, ქუთაისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში, თუმცა მათ მცირე სიმძლავრე აქვთ. საჭიროა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების შექმნა და დანერგვა.

2020 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ბიოდეგრადირებადი ნარჩენების წარმოქმნის მაჩვენებელი მუნიციპალური ნარჩენების, დაახლოებით, 45%-60%-ს შეადგენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების საერთო რაოდენობამ ქვეყნის მასშტაბით შეადგინა 517 055 ტონა, საიდანაც 403 119 ტონა წარმოიქმნა ქალაქში, ხოლო 113 937 ტონა - სოფლად (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022).

2022-2026 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროს ძირითადი გამოწვევებია:

- კანონმდებლობის სრულყოფა და სრული ჰარმონიზება ევროკავშირის რეგულაციებთან;
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისის სრულად მიწოდება ყველა დასახლებული პუნქტისთვის;
- მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და ძველი ობიექტების დახურვა;
- სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შეგროვება-დამუშავების სისტემების შექმნა და დანერგვა;
- სახიფათო ნარჩენების მართვის შესაძლებლობათა გაძლიერება;
- ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვება-დამუშავების სისტემების შექმნა და დანერგვა;
- „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად, სატარიფო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა;
- ნარჩენების რეციკლირების თანამედროვე ტექნოლოგიათა დანერგვა;
- ჩართულ მხარეთა შესაძლებლობების გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება.

გენდერული ზეგავლენის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო არ ატარებს **ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს სურსათის ნარჩენების შემცირებაზე, ასევე, მათი წარმოქმნის პრევენციაზე.** გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი)[21] ცნობით, ასეთი კამპანიებისა და საინფორმაციო შეხვედრების მიზანი მხოლოდ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის მხარდაჭერაა.

საინტერესო მიგნებები გამოიკვეთა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ინტერვიუშიც. რესპონდენტმა არაერთხელ გაუსვა ხაზი სახელმწიფოში პოლიტიკის გამტარებელთა გენდერული მგრძნობელობის პრობლემას, ასევე, ქალთა განსაკუთრებულ მოწყვლადობას საკვები ჯაჭვის სრულ პროცესში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალთა მხოლოდ 23%-ს აქვს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე (FAO, 2018). მაგალითად, 2019-2020 წლებში ორგანიზაციისა და ექსტენციის ცენტრების თანამშრომლობით, 100-მდე თანამშრომელი გადამზადდა, რომელთა ძირითად ნაწილს კაცები შეადგენდნენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ კუთხით ისეთი ტრენინგებისა და მიდგომების დანერგვა, რომლებიც აქცენტს გააკეთებს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და ჩართულობაზე.

[21] გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარემოსდაცვითი და აგრარული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ნარჩენების მართვის პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი *გენდერული მეინსტრიმინგი* არ განხორციელებულა. სამოქმედო გეგმა არ ახსენებს ქალისა და კაცის განსხვავებულ საჭიროებებსა და მიდგომებს ნარჩენების მართვის სფეროში; ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები არ ითვალისწინებს გენდერულად პასუხისმგებლიან მიდგომებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნარჩენების მართვის პოლიტიკისადმი მიდგომა საქართველოში არის გენდერულად ბრმა. ეს ხელს უშლის მდგრად განვითარებასა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, როგორც ნარჩენების მართვის, ასევე გენდერული თანასწორობის მხრივ.

სურსათის ნარჩენებსა და მათ შემცირებაზე ფოკუსის გაძლიერება, შესაბამისი მართვის იერარქიის შემოღება საკანონმდებლო ინიციატივით, ცალსახად წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ იმისათვის, რომ ინიციატივამ დადებითი გავლენა მოახდინოს არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე, აუცილებელია სურსათის ნარჩენების პოლიტიკის *გენდერული მეინსტრიმინგი*. პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს კვლევა და გაანალიზდეს სურსათის ნარჩენებისა და დანაკარგების წარმოქმნის კუთხით არსებული გენდერული განსხვავებები, შემდეგ კი, გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით, დაინერგოს გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომები ამ ნარჩენების შემცირებისა და პრევენციის მიმართულებით.

- **სიღარიბე გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში**

კანონპროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ქვეყანაში სურსათის შეწირულობის წახალისება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს სიღარიბის მაჩვენებლები ქვეყნის მასშტაბით და შეწირულობის პოტენციურ ბენეფიციართა გენდერული განაწილება.

ბოლო ათწლეულში ქალებსა და კაცებს შორის **სიღარიბე მნიშვნელოვნად შემცირდა** საქართველოში**:** ეროვნული აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელმა მკვეთრად იკლო 2010-დან 2021 წლამდე (38.8%-იდან 17.5%-მდე). სიღარიბე შემცირდა როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად (იხ. გრაფიკი 1). 2010 -2015 წლებში ის სოფლად უმნიშვნელოდ მაღალი ტემპით შემცირდა, ქალაქთან შედარებით. 2020 წელს, პანდემიის გავლენით, ქვეყნის სიღარიბის დონე გაიზარდა 19.5%-დან 21.3%-მდე.

მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციისა, ქვეყნის **მოსახლეობის 17.5%** ჯერ კიდევ **სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს** (2021 წლის მდგომარეობით). **2007 წლიდან დღემდე, სიღარიბის მაჩვენებელი სოფლად აღემატება ქალაქის ანალოგიურ მაჩვენებელს (საშუალოდ, 7.8 პროცენტული პუნქტით).** 2021 წლის მონაცემებით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი სოფლად შეადგენდა 21.3%-ს, ქალაქში კი - 15%-ს.

გრაფიკი 2. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი, საქართველო, სოფელი, ქალაქი (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი.

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის ანალიზი ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში აჩვენებს, რომ:

- **სიღარიბის შემცირება თანაბრად აისახა ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე,** თუმცა **არასრულწლოვნები, სიღარიბის მხრივ, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია.** 0-17 ასაკობრივ კატეგორიაში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი მუდამ აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს 18-64 და 65+ ასაკობრივ ჯგუფებში. 2021 წელს სიღარიბე 0-17 ასაკობრივ ჯგუფში იყო 22.7%, 18-64 ასაკობრივ ჯგუფში - 17.3% და 65+ ასაკობრივ ჯგუფში - 11.9% (გრაფიკი 3);
- **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობაში ქალებისა და კაცების პროცენტული წილი ფაქტობრივად არ განსხვავდება წლების მიხედვით და ხასიათდება შემცირების მსგავსი ტენდენციით.** აღსანიშნავია, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი კაცების პროცენტული წილი ოდნავ აღემატება ქალთა ანალოგიურ მაჩვენებელს. 2004-2021 წლებში სხვაობა კაცებისა და ქალების სიღარიბის მაჩვენებელს შორის შეადგენდა, საშუალოდ, 0.4 პროცენტულ პუნქტს (გრაფიკი 4);
- სიღარიბის პროცენტულ მაჩვენებელთა მსგავსების მიუხედავად, იმის გამო, რომ საქართველოში ქალთა რაოდენობა ზოგადად აჭარბებს კაცების რიცხვს (განსაკუთრებით, ასაკოვან მოსახლეობაში), რაოდენობრივად **საქართველოში მეტი ქალია სიღარიბის ზღვარს მიღმა** (გრაფიკი 5). აღსანიშნავია, რომ ეს სხვაობა ძალიან მაღალი იყო წლების წინათ (მაგ: 2004 წელს ქვეყანაში თითქმის 60 000-ით მეტი ქალი იყო სიღარიბის ზღვარს მიღმა, კაცებთან შედარებით). 2010 წლიდან, სიღარიბის შემცირების ზოგად ტენდენციასთან ერთად, შეინიშნება ამ სხვაობის შემცირებაც.

გრაფიკი 3. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი.

გრაფიკი 4. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის განაწილება სქესის მიხედვით (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი.

გრაფიკი 5. სხვაობა სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი ქალებისა და კაცების რაოდენობას შორის



წყარო: ავტორთა გათვლები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის დონე ქვეყანაში ფაქტობრივად ერთნაირია ქალებისა და კაცებისთვის, სიღრმისეული ანალიზისას ჩანს, რომ ეს მაჩვენებელი განსხვავდება ქალისა და კაცის სხვადასხვა ჯგუფისთვის. მსოფლიო ბანკის შეფასებით, რომელიც ეყრდნობა 2018 წლის შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევას (World Bank, 2021):

> სიღარიბის ალბათობა ბევრად მეტია ისეთ ოჯახებში, სადაც **ყველა ზრდასრული წევრი ქალია.** 2018 წლის მონაცემთა ანალიზით ჩანს რომ, **იმ ოჯახებში მცხოვრებ პირთა 39.3%, სადაც ყველა ზრდასრული წევრი ქალია, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება**. ეს ბევრად აღემატება 2018 წლის ეროვნულ მაჩვენებელს, რომელიც 21.3%-ს შეადგენდა. საინტერესოა, რომ ანალოგიური მაჩვენებელი კაცების შემთხვევაში (როცა ოჯახში ყველა ზრდასრული წევრი კაცია) უტოლდება 19.7%-ს.

→ ქალების მიერ მართული შინამეურნეობებისთვის **სიღარიბის ალბათობა 3 პროცენტული პუნქტით მაღალია,** კაცების მიერ მართულ შინამეურნეობებთან შედარებით;

→ **სიღარიბე ეროვნულ მაჩვენებელზე მაღალია ისეთ ოჯახებში, სადაც ცხოვრობენ 3ზმ პირები** (26.0%), ან/და **0-14 წლამდე** (23.9%) **ან 0-17 წლამდე** (23.4%) **ბავშვები**;

→ **განქორწინებულ ქალებში 10 პროცენტული პუნქტით მეტია სიღარიბეში ცხოვრების ალბათობა,** დაქორწინებულ ქალებთან შედარებით;

→ **სიღარიბე დამოკიდებულია განათლების დონეზე.** არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებში სიღარიბის ალბათობა სამჯერ მაღალია, უმაღლესი განათლების მქონე ქალებთან შედარებით. სხვაობა მსგავსია კაცების შემთხვევაშიც;

→ **გოგონები** (0-14 წლამდე) სიღარიბის მიმართ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია. 2018 წელს მათი 26% ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი შეფასებები სრულად ვერ ასახავს სურათს, რადგან შინამეურნეობათა შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა არ იძლევა საშუალებას, რომ დადგინდეს რესურსების განაწილება მათ წევრებს შორის. ეს უკანასკნელი მეტწილად დამოკიდებულია არსებულ

სოციალურ-კულტურული ნორმებზე. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ბანკის ეს კვლევა იძლევა ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომ საქართველოში ქალისა და კაცის სიღარიბის ერთნაირი დონის უკან მნიშვნელოვანი განსხვავებებია სხვადასხვა ჯგუფს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის საერთო დონე ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, **რუსეთის ფედერაციის აგრესია უკრაინის მიმართ განსაკუთრებულ რისკებს უქმნის სასურსათო უსაფრთხოებას.** მსოფლიო ბანკის თანახმად, ფასები რეკორდულად იზრდება იმ სურსათზე, რომლის წარმოებაშიც უდიდესი წილი რუსეთსა და უკრაინაზე მოდის; ასევე, სასუქზე, რომელიც დამოკიდებულია ბუნებრივ აირზე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან მიმართებით პროგნოზირებულია ფასების ყოველწლიური 20%-ანი ზრდა 2022 წელს და მომდევნო პერიოდში. ეს პროგნოზები დამოკიდებულია მიმდინარე ომის ხანგრძლივობასა და სანქციებზე, ამიტომ, მოვლენათა განვითარების მიხედვით, შესაძლოა კიდევ შეიცვალოს. აღსანიშნავია, რომ პროგნოზირებულია ხორბლის ფასის 40%-ზე მეტით გაზრდა (World Bank, 2022). რუსეთი და უკრაინა ერთად ქმნიან მსოფლიო მარცვლეულის ბაზრის 25%-ს. მოსალოდნელმა დეფიციტმა განაპირობა ხორბლისა და სიმინდის ფასების, შესაბამისად, 48%-იანი და 28%-იანი ზრდა 2020 წლის ადრეულ თებერვალთან შედარებით და 79%-იანი და 37%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით. ყოველივე ეს ადგილობრივ ბაზრებზე იწვევს ინფლაციას და ამცირებს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას (World Bank, 2022). ეს ტენდენციები, შემარბილებელი ზომების მიღების გარეშე, სამომავლოდ უფრო გაამწვავებს გამოწვევებს სასურსათო უსაფრთხოებისა და სიღარიბის კუთხით და გააღრმავებს ამ სფეროებში არსებულ გენდერულ უთანასწორობას.

კანონპროექტის არსებული რედაქციით, საქველმოქმედო ორგანიზაციები შექმნიან ერთ-ერთ მთავარ რგოლს სურსათის შეწირულობის ჯაჭვში და მათთვის სურსათის გადაცემა გათავისუფლდება გადასახადისაგან. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით, მსგავსი საგადასახადო შეღავათები გაზრდის სურსათის შემოწირულობას და შეამცირებს სურსათის განადგურების პრაქტიკას სარეალიზაციო ქსელში.

როგორც საბაზისო სცენარის შესწავლამ აჩვენა, სურსათის შეწირულობის წახალისებას აქვს მკვეთრი გენდერული ზეგავლენა. კერძოდ, საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რაოდენობრივად უფრო მეტი ქალი ცხოვრობს, ვიდრე კაცი; სიღარიბის ალბათობა უფრო მაღალია ისეთ შინამეურნეობებში, სადაც ა) ოჯახის ყველა წევრი ქალია; ბ) შინამეურნეობას უძღვება ქალი; გ) ცხოვრებენ 0-14 ან 0-17 წლამდე ბავშვები ან/და შშმ პირები. სიღარიბის ალბათობა ასევე მაღალია განქორწინებულ ქალებსა (დაქორწინებულებთან შედარებით) და 0-14 წლამდე ასაკის გოგონებში. ამ მოწყვლად ჯგუფებზე გავლენის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სურსათის შეწირულობის წახალისება შეამცირებს გენდერულ სხვაობას სიღარიბის მაჩვენებლებში. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უკრაინისადმი რუსეთის ფედერაციის აგრესიისა და სურსათზე ფასების გლობალურად ზრდის პირობებში.

2.3. მუნიციპალური უფასო სასადილოებისა და კვებით უზრუნველყოფის პრაქტიკის გენდერული გამოწვევები

გენდერული ზეგავლენის შეფასების ჯგუფმა ასევე შეისწავლა მუნიციპალური უფასო სასადილოებისა და კვებით უზრუნველყოფის პროგრამები შერჩეულ მუნიციპალიტეტებში. პროცესში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: პროგრამის ბენეფიციართა გენდერული განაწილება, მასში მონაწილეობის კრიტერიუმები, პროგრამაზე ინფორმაციის გავრცელების გზები, რამდენად მორგებულია კვებით უზრუნველყოფა ბენეფიციართა საჭიროებებს, არსებობს თუ არა გენდერული სტერეოტიპები და

სტიგმები სურსათის შეწირულობის თვალსაზრისით, როგორ ხდება პროგრამის მონიტორინგი და სხვა. ამ მიზნით, ჯგუფმა ჩაატარა ნახევრადსტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუ ზუგდიდისა და რუსთავის მუნიციპალიტეტთა შესაბამის სამსახურებთან და მიიღო გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა უფასო სასადილოების ბენეფიციარებსა და კვებით დაფინანსებაზე საქართველოს ოთხი დიდი ქალაქიდან: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ზუგდიდი.

ამ გასაუბრებებისა და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტებისთვის ჯერ კიდევ გამოწვევაა **გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება** უფასო სასადილოებზე. კერძოდ:

- უფასო სასადილოების ბენეფიციართა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები არ გროვდება/მუშავდება კვლევაში ჩართულ სუბიექტთან;
- ექვსმა ობიექტმა მიაწოდა კვლევით ჯგუფს ბენეფიციართა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები 5-წლიანი ან უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის; სამმა ასეთი სტატისტიკა წარადგინა უკანასკნელი 1-3 წლისთვის; ოთხმა მხოლოდ ბენეფიციართა საერთო წლიური ოდენობის მიწოდება შეძლო; ერთი თვითმმართველი ერთეულიდან კი სამუშაო ჯგუფს საერთოდ არ მიუღია მონაცემები უფასო სასადილოებზე.

ამ სფეროში გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების არარსებობა ცალსახად მეტყველებს, რომ **მუნიციპალიტეტებში ბენეფიციარები აღიქმებიან ერთ ჰომოგენურ ჯგუფად, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის გატარებას.**

კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა შესადარი ინფორმაციის მიღება ყველა მუნიციპალიტეტიდან, მიუხედავად იმისა, რომ მათ იდენტური წერილები გაეგზავნათ. შესაბამისად, ანალიზის მიზნებისთვის მონაცემები დაჯგუფდა საერთო კრიტერიუმებით, შემდეგი სახით:

მონაცემები, სადაც გამოიყო ბენეფიციარი ზრდასრული ქალების, ზრდასრული კაცებისა და ბავშვების (18 წლამდე) რაოდენობა;
მონაცემები, სადაც გამოიყო ბენეფიციარებში ქალებისა და კაცების რაოდენობა (18 წლამდე ბავშვების ჩათვლით).

იმ მონაცემთა ანალიზი, სადაც ბავშვები ცალკე კატეგორიად გამოიყო, აჩვენებს, რომ **უფასო სასადილოებით მოსარგებლე პირთა შორის ზრდასრული ქალების რაოდენობა აღემატება ზრდასრული კაცების რაოდენობას**. **ბავშვები შეადგენენ ბენეფიციართა მნიშვნელოვან ნაწილს.**

იმ მონაცემთა ანალიზი, სადაც ვერ მოხერხდა ბავშვების (18 წლამდე) გამოყოფა, აჩვენებს, რომ ზოგადად, **ბენეფიციარებში მდედრობითი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ 55-65%.**

ა) თბილისის იმ სამი რაიონის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, რომლებმაც შეძლეს გენდერული და ასაკობრივი სტატისტიკის მოწოდება, ირკვევა რომ, როგორც წესი, **უფასო სასადილოებით მოსარგებლეთა შორის ზრდასრულ ქალების რაოდენობა აღემატება ზრდასრული კაცების რიცხვს და სცდება 40%-ს. ბავშვები შეადგენენ ბენეფიციართა, დაახლოებით, 30%-ს.**[22] ეს განაწილება მნიშვნელოვნად არ იცვლება წლების მიხედვით.

[22] *არსებული მონაცემი არ იძლევა ბავშვთა გენდერული განაწილების შესწავლის საშუალებას.*

გრაფიკი 6. თბილისის სამი რაიონის უფასო სასადილოების ბენეფიციართა წილი: ქალები, კაცები (18+) და ბავშვები (18 წლამდე)



წყარო: თბილისის რაიონებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია.

ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაციით, 2011-2021 წლებში ქალი და კაცი ბენეფიციარების პროცენტული წილი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა: ქალები შეადგენენ, დაახლოებით, 66%-ს, კაცები კი - 34%-ს. ქალ ბენეფიციართა წილი ჭარბობს ქუთაისის მუნიციპალიტეტშიც, თუმცა შედარებით მცირეა გენდერული ნიშნით სხვაობის მაჩვენებელი: 2011-2021 წლებში ქალები შეადგენდნენ ბენეფიციართა, დაახლოებით, 55%-ს, კაცები კი - 45%-ს.[23]

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ოთხი ქალაქის უფასო სასადილოებით მოსარგებლე **ბენეფიციართა ჯამური რაოდენობა 2014 წლიდან იზრდება და 2021 წელს აღემატებოდა 50 000-ს.** ნიშანდობლივია, რომ ეს ზრდა სახეზეა სიღარიბის მაჩვენებლის შემცირების პირობებში, რაც აჩვენებს, რომ უფასო სასადილოებზე მოთხოვნა ჯერ კიდევ აღემატება მიწოდებას.

[23] ზუგდიდისა და ქუთაისის მონაცემებში შესულია 18 წლამდე ასაკის მოსახლეობაც.

ცხრილი 5. კვლევაში მონაწილე თვითმმართველი ერთეულების უფასო სასადილოებით მოსარგებლე ბენეფიციართა ჯამური რაოდენობა წლების მიხედვით

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
თბილისი	24,418	28,947	31,276	39,578	39,390	39,003	39,158	42,734
ქუთაისი	700	800	800	800	800	800	800	800
ზუგდიდი	230	230	250	250	250	280	280	280
ბათუმი	2,623	3,021	4,021	4,521	4,779	5,182	5,800	6,258
სულ	**27,971**	**32,998**	**36,347**	**45,149**	**45,219**	**45,265**	**46,038**	**50,072**

წყარო: თვითმმართველი ერთეულიდან გამოთხოვილი ინფორმაცია.

თითოეულ ბენეფიციარზე წლების მიხედვით გამოყოფილი თანხა საკმაოდ განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით, თუმცა აღსანიშნავია, რომ რეგიონებში ის უფრო მაღალია, ვიდრე თბილისში. ეს განსხვავება შეიძლება განპირობებული იყოს მასშტაბის ეკონომიურობით ან მენიუებს შორის სხვაობით. 2020-2021 წლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტში ერთ ბენეფიციარზე გამოიყო, საშუალოდ, 926 ლარი წელიწადში, ბათუმში - 812, ზუგდიდში - 750, თბილისში კი - დაახლოებით 460.

გრაფიკი 7. კვლევაში მონაწილე ქალაქებში უფასო სასადილოებით მოსარგებლე ერთ ბენეფიციარზე საშუალოდ გამოყოფილი თანხა წელიწადში (2020-2021 წლები, ლარი)



წყარო: თვითმმართველი ერთეულიდან გამოთხოვილი ინფორმაცია

უფასო **სასადილოებში ბენეფიციართა შერჩევის პოლიტიკას განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტები, მცირე სხვაობებით**. კერძოდ:

- თბილისის მერის 2021 წლის 16 დეკემბრის №1-819 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა „ქალაქ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოების მიერ უფასო სასადილოებით მომსახურების შესახებ“ ვრცელდება მხოლოდ იმ სოციალურად დაუცველ პირებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, მათი რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად მდებარე სასადილოს მიხედვით. უკვე დაკმაყოფილებული პირი მოთხოვნილი სასადილოს მიმღებ ბენეფიციართა სიაში აღირიცხება სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაზე დაყრდნობით, ამონაწერში მითითებული ოჯახის ყველა წევრის ჩათვლით.
- ანალოგიური მიდგომა გამოიყენება ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებში. ბათუმსა და ქუთაისში პროგრამაში მონაწილეობენ ის სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000-ს. აღსანიშნავია, რომ ქუთაისში, მერის თანხმობით, შეიძლება დაიშვას გამონაკლისი, თუ აუცილებელია გადაუდებელი დახმარება. რუსთავში პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.
- აღნიშნული მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, ზუგდიდში უფასო სასადილოთი სარგებლობისთვის არ არის გადამწყვეტი სოციალურად დაუცველობის კრიტერიუმი: კერძოდ, პროგრამით სარგებლობისთვის პირი განცხადების საფუძველზე წარადგენს მის ხელთ არსებულ დოკუმენტაციას, ხოლო ბენეფიციარები შეირჩევიან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მდგომარეობისა და პირობების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამით სარგებლობაზე ინფორმაცია ვრცელდება რამდენიმე განსხვავებული წყაროს მეშვეობოთ. თბილისში უფასო სასადილოებზე ინფორმაციას ავრცელებენ როგორც სოციალური სააგენტოები[24], ასევე მუნიციპალიტეტის გამგეობები და საუბნო განყოფილებები. რაც შეეხება პოტენციურ ბენეფიციართა დამატებით სიას, ის შემდეგნაირად ფორმირდება: განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, მოქალაქე აღირიცხება/რეგისტრირდება მომლოდინეთა სიაში, მომლოდინეთა სიიდან დამატებით სიაში ჩასმულ ბენეფიციარს წინასწარ უკავშირდებიან ტელეფონით და აძლევენ ინსტრუქციას მის მიერ მოთხოვნილ სასადილოში გამოცხადებასა და მომსახურებაზე. სიები პერიოდულად გადაიხედება (მაგ: რუსთავის მუნიციპალიტეტში ბენეფიციართა სიები განახლდება თვეში ერთხელ. როგორც რესპონდენტმა აღნიშნა, ამ პროცესში მკვეთრი ცვლილებები არ გვხვდება). ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა განცხადებით, პროგრამაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია და ვრცელდება გენდერული სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. განსხვავებული მიდგომა აქვს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს: ბენეფიციარები მუნიციპალურ პროგრამებზე ინფორმაციას იღებენ საინფორმაციო საშუალებებით, პირადი შეხვედრებით, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთა დახმარებით და სამოქალაქო სექტორის მეშვეობით. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ინფორმაციის სხვადასხვა წყაროთი გავრცელების მიუხედავად, **წყაროების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესი არ ითვალისწინებს გენდერულ განსხვავებებს** ინფორმაციაზე წვდომის კუთხით.

სასადილოებში საკვების მიღებისა და მომსახურების სპეციფიკა განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით. **განსხვავებულია სამუშაო დღეებიც** - ზოგიერთ თვითმმართველ ერთეულში ეს ობიექტები მუშაობს ყოველდღე, შაბათი-კვირის ჩათვლით, ზოგან კი - ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. COVID-19-

[24] შენიშვნა: როდესაც მოქალაქე იღებს სოციალურად დაუცველის სტატუსს, მას აწვდიან სრულ ინფორმაციას, თუ რომელი სოციალური პროგრამებით შეუძლია სარგებლობა მინიჭებული ქულების მიხედვით.

ის პანდემიის პერიოდში ბენეფიციარებს პროაქტიულად მიეწოდებოდათ საკვები, ან გაიცემოდა არამალფუჭებადი სურსათი, ნედლი სახით.[25]

ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ: ტენდერით განსაზღვრულ მისამართებზე უფასო სასადილოსთვის გამოიყოს შესაბამისი ფართი, ბენეფიციართა რაოდენობის გათვალისწინებით და სათანადო ინფრასტრუქტურით, რომელიც აღიჭურვება საჭირო ინვენტარით; ობიექტებზე პერსონალი ემსახურებოდეს შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; და უფასო სასადილო **მდებარეობდეს** ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას (მაგ: რუსთავის მუნიციპალიტეტის ოთხივე უფასო სასადილო განთავსებულია მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებასთან). შესაბამის სატენდერო მოთხოვნებში მითითებულია კონკრეტული მონაცემი - გაჩერებიდან არაუმეტეს 300 მეტრი, რომელიც კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს. მისამართის შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია გარკვეული ტერიტორიიდან მოსახლეობის მოთხოვნა პროგრამით სარგებლობაზე. კვლევაში ჩართულ ყველა მუნიციპალიტეტში ბენეფიციარს დამატებით სთავაზობენ უფასო მგზავრობის სერვისს, რაც ზრდის პროგრამით მოსარგებლეების - მათ შორის, ქალების - წვდომას სატრანსპორტო სერვისზე. მიუხედავად ამისა, მაინც პრობლემურია სასადილოთა **გეოგრაფიული დაფარვის არეალი, რადგან ის ძირითადად მოიცავს ქალაქის მოსახლეობას**. მნიშვნელოვანი გამოწვევაა **სოფლად უფასო სასადილოების არარსებობაც,** განსაკუთრებით იმ მწვავე მოცემულობის გათვალისწინებით, რომ სოფლად სიღარიბის დონე აღემატება იმავე მაჩვენებელს ქალაქში. შესაბამისად, ეს ასპექტი გასათვალისწინებელია კანონის პროექტში ან მის თანმდევ დოკუმენტებში. შეიძლება დამატებითი შეღავათების მინიჭება საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც სურსათის განაწილებისას მოიცავენ სოფლის მოსახლეობასაც.

ინტერვიუებისას გამოიკვეთა თავად **ბენეფიციართა აღრიცხვის განსხვავებული სისტემები მუნიციპალიტეტებში.** ძირითადად, მოქალაქე მომლოდინეთა სიაში აღირიცხება/რეგისტრირდება განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთანავე, საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო მუნიციპალიტეტებში ყოველთვიურად აგზავნის სოციალურად დაუცველთა განახლებულ ელექტრონულ ბაზას, რომელსაც ამუშავებს და აახლებს სააგენტოს ელექტრონული პროგრამა. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებობს ე.წ. ელექტრონული საბარათე სისტემის პრაქტიკაც, რომლის საფუძველზეც სიაში ცვლილება ყოველთვიურად შედის: კერძოდ, ათი დღის არასაპატიო მიზეზით გაცდენის, მისამართის ცვლილების, გარდაცვალების ან სოციალური სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მოქალაქე ამოირიცხება სასადილოს სიიდან. მონაცემები მუშავდება ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამით, ფაქტი კი ზუსტდება ბენეფიციართან სატელეფონო საუბრით და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე შემოწმებით. ბენეფიციარმა განცხადებით და თანდართული დოკუმენტაციით უნდა დაადასტუროს, რომ გაცდენა საპატიოა. თითოეული სასადილოდან ცალ-ცალკე დანართის სახით იქმნება სიიდან ამოსაღები და მასში ჩასასმელი პირების ნუსხა, რომელიც, კურატორი მოადგილის მოხსენებით ბარათთან ერთად, საფუძვლად ედება გამგებლის ბრძანებას. მსგავსი მოდელის დანერგვას აპირებს რუსთავის მუნიციპალიტეტიც, სადაც ამ დროისთვის პირი აღირიცხება მხოლოდ სპეციალური ჟურნალის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი სიიდან მოქალაქეთა ამოღების შემდგომ, რაოდენობა ივსება დამატებითი სიიდან, რიგითობის მიხედვით, ხოლო დამატებით სიას რიგითობის მიხედვით ემატება პირები

[25] შენიშვნა: პანდემიის პერიოდში, კოვიდრეგულაციებიდან გამომდინარე, უფასო სასადილოებს ანაცვლებდა ე.წ. საკვების განაწილების პროგრამა. როგორც ინტერვიუებში აღინიშნა, ბაზაში არსებული ბენეფიციარები თვეში ერთხელ იღებდნენ სასურსათო კალათას, რომელიც შედგებოდა 10-12 დასახელების პროდუქტისგან.

მომლოდინეთა სიიდან. დაიშვება **გამონაკლისიც - განსაკუთრებით მძიმე სოციალურ-ეკონომიურ და უმწეო მდგომარეობაში მყოფი, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და დაბალქულიანი ოჯახებისთვის.**

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ბენეფიციართა ჯგუფი შერეულია და უფასო სასადილოს მომსახურებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები. თუმცა, როგორც აღინიშნა, მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ქალების რაოდენობა ჭარბობს კაცებისას. ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ **ქალებს შორის უმეტესად არიან სოციალურად დაუცველი, ხანდაზმული, მარტოხელა და შშმ პირები. ამასთან, საკვების წასაღებად უმეტესად მოდიან ქალები და მოზრდილი ბავშვები**. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს რამდენიმე ფაქტორით: ერთი მხრივ, საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმით, რომ ოჯახის კვებაზე ზრუნვა ქალის საქმეა, რის შედეგადაც კაცები დისტანცირდებიან ე.წ. ქალის საქმისგან, მეორე მხრივ კი - ე.წ. არაფორმალურ სექტორში (საოჯახო საქმიანობაში) ჩართულ ქალთა რაოდენობით: კერძოდ, რადგან ისინი საშინაო შრომასა და საოჯახო საქმიანობაში მეტად მონაწილეობენ, ოჯახის საკვებით უზრუნველყოფა ქალის საქმედ მიიჩნევა. შესაბამისად, მსგავსი სოციალური ნორმები და სტერეოტიპები საკვების წაღების პრაქტიკაზეც აისახება.

როგორც კვლევის მონაწილეები აღნიშნავდნენ, უფასო **სასადილოთი მოსარგებლე ქალები და კაცები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, თუმცა სოციალურად დაუცველ პირთა სურსათით უზრუნველყოფის სფეროში ჯერაც არსებობს რიგი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.**

- მაგალითად, ბათუმის მუნიციპალიტეტთან სატელეფონო ინტერვიუში აღინიშნა, რომ საქართველოში მოქმედი უფასო სასადილოები გარკვეულწილად მუშაობენ სახეცვლილი ფორმით: კერძოდ, ასეთი პროგრამა თავისი შინაარსით გულისხმობს უსახლკაროებისა და მარტოხელების ადგილზე გამოკვებას. ეს ის კატეგორიაა, რომელსაც არ აქვს საკვების მომზადების პირობები და შესაძლებლობები და რომელიც მათ ბენეფიციარებში შეადგენს, დაახლოებით, 5-10%-ს. დანარჩენ შემთხვევებში ბენეფიციარები არიან ოჯახები, რომელთაც ზოგადად უჭირთ საკუთარი თავისა და შვილების გამოკვება, მაგრამ ურჩევნიათ, თვითონ მოამზადონ საკვები. ინტერვიუერის თქმით, კარგი იქნება სხვა **დამატებითი პროგრამების შექმნაც, როგორიცაა, ოჯახების სურსათით დახმარება - მათთვის ნედლი პროდუქტის ან სასურსათო ვაუჩერების გაცემა**;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ინტერვიუში ხაზი გაესვა საკითხს, რომ შეუძლებელია **ბენეფიციართა ავადმყოფობის ისტორიის გაცნობა და დედების, ბავშვებისა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის განსხვავებული მენიუს შეთავაზება**;
- რუსთავის მუნიციპალიტეტის რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მენიუში არ არის გათვალისწინებული სქესის მიხედვით განსხვავებული მოთხოვნები/საჭიროებები და მხოლოდ დიაბეტის მქონე პირებს სთავაზობენ ოდნავ განსხვავებულ მენიუს, განსხვავებული ტიპის ცომეულით.

აღსანიშნავია, რომ თბილისის გამგეობების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არაფერია მითითებული უფასო სასადილოთა ფუნქციონირების პრობლემებზე მუნიციპალიტეტებში. მეტიც, ამ ინფორმაციის მიხედვით, **დედაქალაქის გამგეობები თვლიან, რომ ბენეფიციარისთვის ერთი მენიუს შეთავაზებით ყველა ჯგუფი თანაბარი უფლებებით სარგებლობს და არ დამდგარა განსხვავებული მენიუს შეთავაზების საჭიროება.**

ზოგადი პრობლემაა უფასო სასადილოების პროგრამებზე **მონიტორინგი**, რადგან აღნიშნული მექანიზმი არ არის მყარი და სისტემური. კერძოდ:

- რუსთავში ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გასარკვევად, ერთხელ ჩატარდა გამოკითხვა ადგილზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაკლებად ასახავს მომხმარებლის კმაყოფილების რეალურ მაჩვენებელს;
- ამ კუთხით, უკეთესი მდგომარეობაა დედაქალაქის სასადილოებში: კერძოდ, რაიონის გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული სათათბირო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები კვირაში ერთხელ (საჭიროების შემთხვევაში - რიგგარეშეც) უწევენ მონიტორინგს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ. მონიტორინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბენეფიციართა ელექტრონული აღრიცხვის გამართული მუშაობა (საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალის წარმოება); სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; შემოტანილი პროდუქტის ხარისხიანობის ვიზუალურად დათვალიერება-შემოწმება; დღის მენიუს მიხედვით გასაცემი ულუფების ხარისხის, რაოდენობისა და წონის კონტროლი; საკვების გაცემის დროულობა; ხარისხიანი მომსახურება; დამონტაჟებული კამერის გამართული მუშაობა და ჩანაწერის დათვალიერება. ამის შემდეგ, საბჭოს წევრი ადგენს შემოწმების ოქმს;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხი დგინდება მათი გამოკითხვით: მერიაში გამოყოფილი მორიგე თანამშრომლები ადგილზე იღებენ ინფორმაციას უშუალოდ ბენეფიციარებისგან და ადგენენ კმაყოფილების დონეს. საკვების ხარისხს მონიტორინგს უწევს მერიის საშტატო თანამშრომელი, რომელიც თვის ბოლოს აკვირდება მუშაობის პროცესს და ყოველთვიურ ანგარიშს წარადგენს მერიაში;
- ინტერვიუმ გამოავლინა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში ბენეფიციართა კმაყოფილების დონეს შეისწავლიან უწყვეტ რეჟიმში: კერძოდ, სააგენტოს თანამშრომლები ურეკავენ ბენეფიციარებს და ავსებენ სპეციალურ კითხვარებს. გამოკითხვების შედეგად, პრაქტიკაში განხორციელდა ცვლილებებიც: მაგალითად, შეიცვალა ზამთრის მენიუ, ერთ შემთხვევაში ჩანაცვლდა კერძი, მეორეში კი - მომზადების ტექნოლოგია. საჩივრებისა და წინადადებების წარდგენა შესაძლებელია დაწესებულების *Facebook* გვერდზეც, სადაც მეტწილად ქალები აქტიურობენ.

ყველა მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა **მენიუს ინდივიდუალურად შერჩევის პრობლემა:** კერძოდ, არ ეცნობიან ბენეფიციართა ავადმყოფობის ისტორიას, **სერვისი არ ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და მენიუ ყველასთვის ერთნაირია, განურჩევლად სპეციალური საჭიროებებისა.** თუმცა, ამ კუთხით განსხვავებული მიდგომებია მუნიციპალიტეტებში. მაგალითად, ქალაქ რუსთავის უფასო სასადილოებში მენიუ შედგენილია ნუტრიციოლოგის მიერ და, ბოლო რეგულაციებით, კალორაჟი 1600 კალორიიდან 1800-მდე გაიზარდა. ზუგდიდში უფასო სასადილოების პროგრამას ბიუჯეტთან ერთად ამტკიცებს საკრებულო, თუმცა უშუალოდ მენიუს ამტკიცებს მერია, ზედმეტი ბიუროკრატიული პროცესების ასარიდებლად. ამასთან, მენიუს ადგენს ნუტრიციოლოგი, ექსპერტებთან კონსულტაციით, და ეს პროცესი განსაზღვრულია ტენდერით. ქუთაისის მუნიციპალიტეტში კვების მენიუს ამტკიცებს საკრებულო, თუმცა კალორაჟი განსაზღვრულია პროგრამით. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული სასადილოს მენიუ შედგენილი და დამტკიცებული აქვს საკრებულოს. შესაბამისად, რაციონის ცვლილება დაკავშირებულია ბიუროკრატიულ პროცედურებთან. როგორც ინტერვიუში აღინიშნა, ეს მუნიციპალიტეტი, სერვისის გაუმჯობესების მიზნით, გეგმავს რაციონისა და სისტემის განახლებას, თუმცა გამოწვევად რჩება შეზღუდული ბიუჯეტი. ამასთანავე, სამტრედიაში არ მოქმედებს სოფლებში მცხოვრებ ბენეფიციართათვის შინ მიტანის სერვისი, რადგან მუნიციპალიტეტს არ აქვს სათანადო ფინანსური და ადამიანური რესურსები.

მენიუს მხრივ გამონაკლისია კერძო ორგანიზაცია „კარიტასის“ საკუთრებაში არსებული ორი უფასო სასადილო. **ეს ორგანიზაცია ბენეფიციარებს სთავაზობს დიფერენცირებულ ნუტრიციას: კერძოდ, არასრულწლოვნებს აწვდის ზრდასრულებისგან განსხვავებულ დღის რაციონს.**

პრობლემური საკითხია მომსახურე **პერსონალის შერჩევა, მომზადება და გადამზადებაც. უმეტესწილად, მათი გადამზადება არ დგება დღის წესრიგში, რადგან** გამოკითხვების შედეგად, ბენეფიციარები კმაყოფილებას გამოთქვამენ მომსახურე პერსონალის მიმართ. მხოლოდ რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა ინტერვიუში გადამზადების საჭიროება: მისი აზრით, ეს გაზრდიდა სერვისის ბენეფიციართა კმაყოფილების დონეს. თბილისის მუნიციპალიტეტში მომსახურე პერსონალს პერიოდულად უტარდება ტრენინგები. ორგანიზაცია „კარიტასის“ ორი უფასო სასადილო გამოირჩევა პერსონალის მომზადება-გადამზადების მხრივაც: სურსათის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ობიექტებზე მუშაობს მონიტორინგის სისტემა, ხოლო სერვისის მიმწოდებელ კოორდინატორს გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები.

უფასო სასადილოებში არ არის **სპეციალურად გამოყოფილი ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის კადრი**, რომელიც უშუალოდ ბენეფიციარებთან იმუშავებს. კერძო სასადილოების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მათ ბენეფიციარებს, კვებით უზრუნველყოფის გარდა, სხვა საჭიროებებიც აქვთ, რომლებსაც ადგილზე მყოფი სპეციალიზებული პირი ეფექტიანად აღმოაჩენდა/შეაფასებდა. თუმცა გასათვალისწინებელია ადგილობრივ თვითმმართველობათა (მუნიციპალიტეტთა) შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსები, რაც ართულებს ამ როლის კონკრეტულ პირზე დაკისრებას.

მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა „საქართველოს კარიტასის“ წარმომადგენელთან ინტერვიუშიც. საქველმოქმედო ფონდნის წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა სურსათის **ფასების ზრდაზე, რაც ართულებს ორგანიზაციის ფარგლებში გახსნილი ორი უფასო სასადილოს ფუნქციონირებას**. იგი გამოსავლად მიიჩნევს საგადასახადო შეღავათების დაწესებას სურსათის შეწირულობაზე, რათა შეზღუდული ბიუჯეტის ფონზე გარდაუვალი არ გახდეს ბენეფიციართა რაოდენობის შემცირება. გამოწვევად დასახელდა COVID-19-ის ფონზე გაზრდილი ხარჯი ჰიგიენურ საშუალებათა ნაწილში, რეგულაციების სათანადოდ დასაცავად.

უნდა აღინიშნოს, რომ კერძო მფლობელობაში არსებული უფასო სასადილოები უფრო მოქნილები არიან ბენეფიციართა შერჩევაში. მაგალითად, „კარიტასს“ ამ მიზნით აქვს წინასწარ დადგენილი სისტემა, თუმცა უფასო სასადილოთი სარგებლობენ ორგანიზაციის სხვა სერვისების მიმღები პირებიც: მაგალითად, ბავშვთა დღის ცენტრის არასრულწლოვანი ბენეფიციარები და მარტოხელა ადამიანები ხანდაზმულთა ცენტრიდან. დანარჩენი ბენეფიციარები შეირჩევიან სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე. შერჩევის პროცესში სტანდარტულად უპირატესობა ენიჭებათ სოციალურად დაუცველ, ხანდაზმულ, მრავალშვილიან და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირებს.

მიმართვიანობის გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკა მსგავსია როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე ცალკეული ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული უფასო სასადილოების შემთხვევაში. რაც შეეხება მიმართვიანობას, რესპონდენტთა დაკვირვებით, უფასო სასადილოებს უფრო მეტად ქალები მიმართავენ. როგორც წესი, ამ მხრივ, კაცები ნაკლებად აქტიურობენ. ამასთანავე, არსებული სტიგმისა და მენტალიტეტის გამო, სასადილოში უფრო მეტად ოჯახის წევრი ქალები დადიან საკვების გასატანად.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური უფასო სასადილოებისგან განსხვავებით, საინტერესო პრაქტიკა აქვთ ორგანიზაცია „კარიტასის“ ობიექტებს: კერძოდ, სურსათის შეწირულობის ნაწილში ორგანიზაცია თანამშრომლობს კერძო სუბიექტებთან, მათ შორის, ერთ-ერთ დიდ ქსელურ მარკეტთან, რომლისგანაც იღებს ვადიან, თუმცა დაზიანებული შეფუთვის მქონე პროდუქტებს. სახელმწიფო უფასო სასადილოები

ნაკლებად მოქნილნი არიან ამ კუთხით: წინასწარ განსაზღვრული მენიუდან გამომდინარე, მათ არ აქვთ შემოწირული სურსათის მიღება-გამოყენების საშუალება (არსებობის შემთხვევაში), თუმცა, როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა, შეუძლიათ შემოწირული სურსათის დარიგება, თუ ბენეფიციარი თავად მოამზადებს სახლში სადილს.

GIA-ს სამუშაო ჯგუფის ინტერვიუებით გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები შეესაბამება სახალხო დამცველის მიერ მიმდინარე წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022). კვლევის თანახმად, შესაძლებელია რამდენიმე პრობლემური საკითხის გამოყოფა, რომლებიც მეტწილად საერთოა მომსახურების ყველა მიმწოდებლისთვის. ანგარიშში ყურადღება გამახვილდა **სერვისის მართვის ერთიანი მინიმალური სტანდარტის არარსებობაზე**, რომელიც განსაზღვრავს როგორც მომსახურების ფარგლებში გასაცემი საკვების ოდენობასა და კალორაჟს, ისე სავალდებულო მოთხოვნებს ფიზიკური გარემოს მოწყობის, უსაფრთხოების დაცვისა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის კუთხით.

ამ ფონზე კიდევ უფრო საგანგაშოა ფაქტი, რომ სერვისის მიწოდებისას **გათვალისწინებული არ არის საკვების მინიმალური კვებითი ღირებულება.** სერვისის დაგეგმვა არ ეფუძნება კალორიების აუცილებელ დღიურ ოდენობას და მეტწილად ერგება მისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს, ბენეფიციართა კვებითი საჭიროებების კვლევის გარეშე. ამასთან, მენიუს შედგენისას, გარდა ერთეული შემთხვევებისა (მოთხოვნა რუხ პურზე დიაბეტით დაავადებული პირებისთვის), გათვალისწინებული არ არის კალორაჟი, სადილის ენერგეტიკული ღირებულება, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და რელიგიური მრწამსი.

სახალხო დამცველი მიუთითებს უფასო სასადილოთა **კვების ხარისხის კონტროლის სიმწირეზეც.**

ანგარიშში ასევე პრობლემურ საკითხებად აღინიშნა უფასო სასადილოებზე წვდომა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, ჰიგიენური წესების დაუცველობა და სერვისით მოსარგებლეთა სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით.

III თავი

დასკვნები და რეკომენდაციები

3.1. ძირითადი დასკვნები

სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვა და სურსათის შეწირულობა აღნიშნულიც კი არ არის ამ სფეროს მართვის სტრატეგიულ დოკუმენტებში, მათ შორის, ნარჩენების მართვის კოდექსსა და სტრატეგიაში. შესაბამისად, **ქვეყანაში ამ საკითხთან მიმართებით არ არსებობს გენდერულად სპეციფიკური მიდგომები და ნორმატიული ჩარჩო გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად.**

სფეროს მარეგულირებელი კანონებისა და სტრატეგიული დოკუმენტების შესწავლამ ცხადყო, რომ ეროვნულ დონეზე არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სექტორულ კანონმდებლობაში სრულად აისახა ქვეყნის მიერ საერთაშორისო დონეზე გაცხადებული მიზნები, თუმცა სტრატეგიულ დოკუმენტებში სათანადოდ არ ასახულა ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები და მათი საზომი ინდიკატორები. შესაბამისი ყურადღება არ ეთმობა კონკრეტულად სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვას და ეს საკითხი განიხილება ზოგადად ნარჩენების ნაწილში. სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში, როგორც წესი, **გათვალისწინებული არ არის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები და არ ანალიზდება გენდერული თანასწორობის საკითხები.** სტრატეგიული დაგეგმვის ციკლები არ ითვალისწინებს გენდერულ მიზნებსა და შედეგებს.

არსებული საერთაშორისო ლიტერატურის ანალიზმა და საქართველოს რეალობის შესწავლამ ცხადყო, რომ კანონპროექტს აქვს პოტენციალი, დადებითი გავლენა მოახდინოს გენდერული უთანასწორობის შემცირებაზე.

სურსათის დანაკარგს განაპირობებს სხვადასხვა ფაქტორი: მოსავლის აღების არაეფექტიანი ტექნიკა და საშუალებები, ინფრასტრუქტურისა და შემნახველი საწყობების სიმცირე და არასაკმარისი ტერიტორიული განაწილება, სურსათის წარმოების ტექნოლოგიების გაუმართაობა, შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა და ა.შ. **საქართველოში ქალებს, ერთი მხრივ, შესაბამისი ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო და, მეორე მხრივ, სოციალურ-კულტურული ნორმებიდან გამომდინარე, უფრო შეზღუდული წვდომა აქვთ შესაბამის ტექნიკაზე, ტექნოლოგიასა და ინფრასტრუქტურაზე, რაც ზრდის სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების ოდენობას.**

ამჟამად სახელმწიფო არ ატარებს ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს **სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებაზე, ასევე, მათი წარმოქმნის პრევენციაზე.** კანონპროექტით გათვალისწინებულია სურსათის ნარჩენებისა და დანაკარგების შესამცირებელი ღონისძიებების დაგეგმვა, ცნობიერების ასამაღლებელი და შესაბამისი წამახალისებელი ზომების/პროგრამების დანერგვა, სასწავლო პროგრამების მომზადება, რასაც აქვს პოტენციალი, დადებითი გავლენა მოახდინოს სფეროში არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე. თუმცა, ამის მისაღწევად აუცილებელია, შესაბამისი ღონისძიებები იყოს გენდერულად პასუხისმგებლიანი და ტრანსფორმაციული. უფრო კონკრეტულად: გაითვალისწინოს ქალისა და კაცის განსხვავებული საჭიროებები სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის სფეროში; ინდივიდებს აძლევდეს იმ გენდერული ნორმებისა და ღირებულებების გადააზრების საშუალებას, რომლებიც გავლენას ახდენს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოქმნაზე და ა.შ.

კანონპროექტის **გენდერული ზეგავლენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სურსათის შეწირულობის წახალისება.** როგორც სიღარიბისა და სურსათის შეწირულობის სფეროს შესწავლამ აჩვენა, ამ კონკრეტული მიმართულებით მნიშვნელოვანი გენდერული გამოწვევები არსებობს. კერძოდ, საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ უფრო მეტი ქალი ცხოვრობს, ვიდრე კაცი; სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია გოგონების, განქორწინებული ქალებისა და შინამეურნეობების მმართველი ქალების შემთხვევაში. კვების სასადილოების ბენეფიციართა შორის ზრდასრული ქალების რაოდენობა ძირითადად აღემატება ზრდასრული კაცების რაოდენობას (დაახლოებით 10%-ით). მაღალია აღნიშნული სასადილოების ბენეფიციარი ბავშვების მაჩვენებელიც.[26]

ამ მოცემულობით, ცხადია, სურსათის შეწირულობის წახალისება შეამცირებს სიღარიბის გენდერულ ნაპრალს. გასათვალისწინებელია სოფელსა და ქალაქს შორის განსხვავებებიც: როდესაც ქვეყნის მასშტაბით უფასო სასადილოების სახელმწიფო პროგრამები მეტწილად ორიენტირებულია ქალაქის მოსახლეობაზე, ყურადღების მიღმა რჩება სოფლად მცხოვრები, ეკონომიკურად კიდევ უფრო მოწყვლადი მოსახლეობა.

სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის, ასევე, სურსათის შეწირულობის კუთხით, ქვეყანაში მონაცემები ძალიან მწირია, კერძოდ:

- პრაქტიკულად არ არსებობს მონაცემი ან კვლევა გენდერულ განსხვავებებზე სურსათის დანაკარგებსა და ნარჩენებთან მიმართებით;
- ასევე არ არსებობს მონაცემები ზოგადად სურსათის ნარჩენებსა და დანაკარგებზე. ტარდება მხოლოდ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეფასება, რომლის შემადგენლობაშიც შედის სურსათის ნარჩენი. მწირია კვლევები სხვადასხვა პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვში დანაკარგების შესასწავლად;
- უფასო სასადილოების ბენეფიციართა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები არ გროვდება/მუშავდება ყველა თვითმმართველ ერთეულში. ამასთანავე, სერვისის მიმწოდებლები ბენეფიციარებს მეტწილად აღიქვამენ ერთ ჰომოგენური ჯგუფად; შესაბამისად, დღის წესრიგში არ დგას ამ პირთა განსხვავებული საჭიროებების შესწავლა და პროგრამის მორგება მათზე.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს უფასო სასადილოებზე **მონიტორინგის არსებული პრაქტიკა, ასევე ის, რომ არ ტარდება პროგრამის შეფასება**. კერძოდ: მონიტორინგის სისტემები, როგორც წესი, არ მოიცავს კვების ხარისხის კონტროლს და ზედამხედველობა, ძირითადად, ფინანსური აუდიტით შემოიფარგლება (საქართველოს სახალხო დამცველი, 2022). მონიტორინგისას არ არის გათვალისწინებული ბენეფიციართა განსხვავებული საჭიროებები და მათი დაკმაყოფილების დონე. არ არსებობს მექანიზმები, რომლებიც შეაფასებდა უფასო სასადილოების პროგრამის გავლენას ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

მონაცემების, მათ შორის, გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების სიმწირე/არარსებობა მნიშვნელოვნად აბრკოლებს **ეფექტიანი, ინკლუზიური და გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას.**

[26] თბილისის მასშტაბით, ბავშვები შეადგენენ ბენეფიციართა, დაახლოებით, 30%-ს. ზუგდიდისა და ქუთაისის მონაცემებით, ქალები (მოიცავს ყველა ასაკობრივ კატეგორიას) შეადგენენ ბენეფიციართა, დაახლოებით, 66%-სა და 55%-ს (შესაბამისად).

3.2. რეკომენდაციები პოლიტიკის გენდერული თანასწორობის კუთხით გასაუმჯობესებლად

კვლევის შედეგების საფუძველზე, განისაზღვრა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია გენდერული ზეგავლენის გაუმჯობესება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის სფეროებში. კერძოდ, ეს მოიცავს ორ მიმართულებას:

ა) ცვლილებები კანონპროექტში;

ბ) რეკომენდაციები ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი პოლიტიკის გასატარებლად. ამასთანავე, რადგანაც სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირება და სურსათის შეწირულობა ძალიან ფართო არეალს მოიცავს, განისაზღვრა დამატებითი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც დადებითად იმოქმედებს ამ სფეროში არსებული გენდერული უთანასწორობის შემცირებაზე/აღმოფხვრაზე.

ა) ცვლილებები კანონპროექტში

წინამდებარე ანგარიშის მომზადების პარალელურად, GIA-ს სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების შედეგად, კანონპროექტში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. მიზნებისა და ამოცანების მუხლში (მუხლი 2) აისახა, რომ:

ა) კანონი ხელს უწყობს სურსათის ნარჩენების შემცირებისა და სურსათის გადანაწილების ხელშემწყობი *გენდერულად პასუხისმგებლიანი* პოლიტიკისა და ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას.

ბ) კანონის ამოცანებია:[27]

- სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირებისათვის *გენდერულად პასუხისმგებლიანი* პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- *ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და სხვა დაუცველი ჯგუფების საკმარისი და სრულფასოვანი სურსათით უზრუნველყოფა;*
- სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეთა ცნობიერების ასამაღლებელი *გენდერულად მგრძნობიარე* ღონისძიებების, ხელშეწყობის ზომებისა და პროგრამების განხორციელება.

2. კანონპროექტით განისაზღვრა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია, შეიმუშაოს და განახორციელოს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების *გენდერულად პასუხისმგებლიანი* პოლიტიკა; ასევე, მოამზადოს *ინკლუზიური და გენდერულად პასუხისმგებლიანი* სამართლებრივი აქტები და ხელი შეუწყოს სურსათის დანაკარგებსა და ნარჩენებზე ცნობიერების ასამაღლებელ გენდერულად მგრძნობიარე კამპანიებსა და სასწავლო აქტივობებს.

3. კანონპროექტის თანახმად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური პასუხისმგებელია სურსათის დანაკარგისა და ნარჩენის შესახებ *გენდერულად სეგრეგირებული* სტატისტიკური კვლევის ჩატარებასა და ინფორმაციის დამუშავებაზე.

4. კანონპროექტი ადგენს (მუხლი 8), რომ ჭარბი სურსათის შეწირულობა და გადანაწილება ხორციელდება ამ კანონის, ასევე, სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების პროცედურების შესაბამისად,

[27] *მოცემულია ამოცანების მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც შევიდა ცვლილებები/რომელიც დაემატა.*

სასურსათო დაუცველობისა და არასრულფასოვანი კვების გენდერული და სოციალური განზომილებების გათვალისწინებით.

5. კანონპროექტის თანახმად (მუხლი 12), სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია (ბანკი) ვალდებულია, ჭარბი სურსათის განაწილება/შეწირულობა უზრუნველყოს *უპირატესად ღარიბი და სასურსათო დაუცველობისა და არასრულფასოვანი კვებისადმი მოწყვლადი ჯგუფებისათვის.*

ბ) რეკომენდაციები ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი პოლიტიკის გატარებისას

იმისათვის, რომ კანონპროექტმა დადებითი გავლენა მოახდინოს გენდერულ თანასწორობაზე, მნიშვნელოვანია, თანმდევი ნორმატიული აქტები და პოლიტიკა ითვალისწინებდეს სურსათის დანაკარგების, ნარჩენებისა და შეწირულობის სფეროებში არსებულ გენდერულ უთანასწორობებს.

შესაბამისად, რეკომენდებულია ამ სფეროებთან დაკავშირებული სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტების გენდერული მეინსტრიმინგი: კერძოდ, არსებული გენდერული გამოწვევების აღიარება და ანალიზი და, შედეგად, გენდერულად პასუხისმგებლიანი მიზნებისა და შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება, რაც ჩამოთვლილ სფეროებში ხელს შეუწყობს ქალებისა და კაცების წინაშე არსებულ დაბრკოლებათა დაძლევას და რეაგირებას მათ განსხვავებულ საჭიროებებზე.

სურსათის დანაკარგები და სურსათის ნარჩენები

<u>რეკომენდებულია:</u>

- საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყოს კვლევებს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, ეს კვლევები იძლეოდეს ინფორმაციას, კონკრეტულად რა მიმართულებით წარმოიქმნება ყველაზე დიდი დანაკარგები ან ნარჩენები, ღირებულებათა ჯაჭვის რა კომპონენტებია ამ მხრივ კრიტიკული, ხომ არ უკავშირდება ეს თავისებურებები არსებულ გენდერულ უთანასწორობებს;
- სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (მაგ: „დანერგე მომავალი“, „აწარმოე საქართველოში“) ჩატარდეს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, რომლებიც დაეფუძნება სფეროში არსებულ გენდერულ განსხვავებებს და მიზნად დაისახავს მათ შემცირებას;
- საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „აწარმოე საქართველოში“ და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტომ“ უზრუნველყონ სურსათის წარმოებაში ჩართულ მეწარმეთა გადამზადება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების მიმართულებით. მნიშვნელოვანია, ეს პროგრამები ითვალისწინებდეს მეწარმე ქალებისა და კაცების განსხვავებულ მდგომარეობასა და საჭიროებებს;
- სურსათის ნარჩენების შემცირებასა და პრევენციაზე მიმართულ ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებში, ასევე, საინფორმაციო შეხვედრებში მოსახლეობასთან, გათვალისწინებული იყოს გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომები, ასევე, გენდერული სპეციფიკა;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ისეთი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, მათ შორის, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გამოყოფას სხვა ტიპის ნარჩენებისაგან და მის ხელახალ

გამოყენებას, რეციკლირებასა თუ აღდგენას, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების რეციკლირების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და მათ თანაბარ ხელმისაწვდომობას ქვეყნის მასშტაბით. შესაძლებელია, პროგრამის მონაწილეთათვის სავალდებულო იყოს ნარჩენების სეპარაცია ან/და შესაბამისი განაცხადების განხილვისას მაღალი შეფასება მიიღოს ისეთმა საწარმომ, რომელიც ახდენს ნარჩენების სეპარირებას.

სურსათის შეწირულობა, უფასო კვება

<u>რეკომენდებულია:</u>

- შემუშავდეს მუნიციპალურ დონეზე უფასო სასადილოებით მომსახურების მინიმალური სტანდარტები და დადგინდეს ზოგადი წესი, რომლითაც განისაზღვრება მინიმალური მოთხოვნები მათი მენიუების შესადგენად: სადილის კალორაჟი, ენერგეტიკული ღირებულება, ბენეფიციართა ასაკი, მათი კვებითი და ნუტრიციული საჭიროებები (ალერგიები, დიაბეტი, ორსული და მეძუძური დედები, ბავშვები), სეზონურობა;
- თვითმმართველმა ორგანოებმა გააუმჯობესონ უფასო სასადილოებზე ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისათვის. წყაროების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იყოს ქალებსა და კაცებს შორის არსებული განსხვავებები ინფორმაციაზე წვდომის კუთხით და გამოყენებული იყოს ინკლუზიური ენა;
- მუნიციპალურ სასადილოებში საკვების უსაფრთხოებისა და ბენეფიციართა კმაყოფილების დონის შესამოწმებლად, დაინერგოს მონიტორინგის სისტემური მექანიზმები; პერიოდულად შეფასდეს უფასო სასადილოთა პროგრამები, მათი გავლენის შესაფასებლად;
- უფასო სასადილოების პროგრამის სატენდერო დებულებაში თვითმმართველმა ორგანოებმა სავალდებულო კომპონენტად გაითვალისწინონ მოთხოვნა ამ ობიექტების საშტატო თანამშრომელთა გადამზადების შესახებ. გადასამზადებელი პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს ინკლუზიაზე, ზრდიდეს მონაწილეთა გენდერულ მგრძნობელობას, ყურადღებას ამახვილებდეს სურსათის გადანაწილების შესაძლო გამოწვევებზე, ასევე, მათი იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გზებზე;
- უფასო სასადილოების ბენეფიციართათვის გამოიყოს ფსიქოლოგის კადრი, ან შესაძლებელი იყოს სხვა მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური სამსახურის რესურსის გამოყენება, რათა მათ მიაწოდონ ინფორმაცია ამ ობიექტებზე და გააცნონ სხვა სერვისებზე წვდომის შესაძლებლობები;
- მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ტრანსპორტირება ან მომსახურების ალტერნატიული ფორმები იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებსაც საკვების მისაღებად ყოველდღიურად უწევთ შორი მანძილის გავლა, ან აქვთ გადაადგილების შეზღუდვა;
- მუნიციპალიტეტებმა ითანამშრომლონ უფასო კვების სფეროში არსებული გამოცდილების გასაზიარებლად.

მონაცემთა შეგროვება/დამუშავება და კვლევები

<u>რეკომენდებულია:</u>

- ადგილობრივ დონეზე თვითმმართველმა ორგანოებმა შეაგროვონ უფასო სასადილოების ბენეფიციართა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც სეგრეგირებულია სქესისა და ასაკის მიხედვით;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეგროვებული მონაცემები სურსათის დანაკარგების შესახებ იყოს გენდერულად სეგრეგირებული (კონკრეტულად რა მიმართულებით არის ყველაზე დიდი დანაკარგები, ღირებულებათა ჯაჭვის რა ნაწილებია ამ მხრივ კრიტიკული, ვინ მეტს წარმოქმნის და ა.შ);
- წახალისდეს კვლევები სურსათის დანაკარგებისა თუ ნარჩენების წარმოქმნისა და სურსათის შეწირულობის სფეროებში, გენდერულად განსაზღვრული ბარიერებისა და მათი აღმოფხვრის გზების შესასწავლად. მნიშვნელოვანია კონსულტაციების ჩატარება ექსპერტებთან, ქალებსა და კაცებთან, ეთნიკურ უმცირესობებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჯგუფებთან.

ბიბლიოგრაფია

(I) საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

გაეროს გენერალური ასამბლეა. (1979). კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ https://www.ohchr.org/sites/default/files/cedaw.pdf.

გაეროს გენერალური ასამბლეა. (2015). გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნები. https://tinyurl.com/228dsjmu

საქართველოს მთავრობა, United Nations Georgia. (2020). *გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება, 2021-2025.* თბილისი. shorturl.at/ikqSV

პარიზის შეთანხმება. (2015). https://tinyurl.com/2ahxe9uj

(II) ეროვნული ნორმატიული ჩარჩო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. (2020). *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027.* https://tinyurl.com/huzsm3jn

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. (2021). *2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.* shorturl.at/EJ136

გენდერული თანასწორობის საბჭო. (2022). *გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2022-2024.* shorturl.at/nowFJ

საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC). (2021). https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/50125

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2022). *2022-2026 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა.* https://eiec.gov.ge/Ge/ActionPlans

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. *საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია.* *https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395*

საქართველოს მთავრობა. (2019). მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი. https://sdg.gov.ge/text-page/34

ნარჩენების მართვის კოდექსი. https://tinyurl.com/2v5jvx4n

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი. https://tinyurl.com/zvtxthxm

(iii) კვლევები

Belachew, T., Hadley, C., Lindstrom, D., Gebremariam, A., Lachat, C., & Kolsteren, P. (2011). Food insecurity, school absenteeism and educational attainment of adolescents in Jimma Zone Southwest Ethiopia: a longitudinal study. *Nutrition Journal, 10*(29). Retrieved from https://nutritionj.biomedcentral.com/articles/10.1186/1475-2891-10-29

Belachew, T., Lindstrom, D., Gebremariam, A., Hogan, D., Lachat, C., Huybregts, L., & Kolsteren, P. (2013, March). Food Insecurity, Food Based Coping Strategies and Suboptimal Dietary Practices of Adolescents in Jimma Zone Southwest Ethiopia. *Plos One*. doi:https://doi.org/10.1371/journal.pone.0057643

Benyam, A., Some, T., & Fraser, E. (2021, November 10). Digital agricultural technologies for food loss and waste prevention and reduction: Global trends, adoption opportunities and barriers. *Journal of Cleaner Production, 323*. doi:https://doi.org/10.1016/j.jclepro.2021.129099

Brenner, S. (1995). *Why women rule the roost: rethinking Javanese ideologies of gender and self-control.* doi:10.1525/9780520915343-004

Cantaragiu, R. (2019). The Impact Of Gender On Food Waste At The Consumer Level. *Studia Universitatis "Vasile Goldis" Arad, Economics Series, 29*(4). doi:10.2478/sues-2019-0017

Cappellini, B., & Parsons, E. (2012). Practicing thrift at dinnertime: Mealtime leftovers, sacrifice and family membership. *The Sociological Review, 60*(2).

CARE. (2020). *Gender Equality and Women's Empowerment in the context of Food Security and Nutrition - A Scoping Paper.* CARE. Retrieved from https://www.fao.org/fileadmin/templates/cfs/Docs1920/Gender/GEWE_Scoping_Paper-FINAL040ct.pdf

CARE. (2020). *Policy Report - Left Out and Left Behind: Ignoring Women Will Prevent Us From Solving the Hunger Crisis.* CARE. Retrieved from https://reliefweb.int/report/world/policy-report-left-out-and-left-behind-ignoring-women-will-prevent-us-solving-hunger

CENN. (2021). *სურსათის მდგრადი მართვის სისტემები საქართველოში კლიმატისადმიმედეგობის ხელშეწყობისათვის.*

Cholette, S., Ozluk, O., Ozsen, L., & Ungson, G. R. (2003). Exploring Purchasing Preferences: Local and Ecologically Labelled Foods. *Journal of Consumer Marketing,*. doi:10.1108/JCM-04-2013-0544

Damanhuri, E., Wahyu, I. M., Ramang, R., & Padmi, T. (2009). Evaluation of municipal solid waste flow in the Bandung metropolitan area, Indonesia. Journal of material cycles and waste management. *Journal of Material Cycles and Waste Management volume, 11*, 270–276. Retrieved from https://doi.org/10.1007/s10163-009-0241-9

EIGE. (n.d.). *Glossary & Thesaurus*. Retrieved from https://eige.europa.eu/: https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1218

Eurostat - Your Key to European Statistics. (2022, 02 14). Municipal waste generation up to 505 kg per person.

Everitt, H., Werf, P., Seabrook, J. A., Wray, A., & Gilliland, J. A. (2022). The quantity and composition of household food waste during the COVID-19 pandemic: A direct measurement study in Canada. *Socio-Economic Planning Sciences, 82, Part A*. doi:10.1016/j.seps.2021.101110

FAO. (2011). *Global Food Losses and Food Waste – Extent, Causes and Prevention.* Rome.

FAO. (2011). *Global Food Losses and Food Waste: Extent, Causes and Prevention.* Rome: FAO. Retrieved from shorturl.at/cgjN2

FAO. (2011). *The State of Food and Agriculture.* Rome: FAO.

FAO. (2013). *Food Wastage Footprint - Impacts on Natural resources.* FAO .

FAO. (2014). *Food Wastage Foorprint: Full-Cost Accounting.* Rome.

FAO. (2018). *Gender and Food Loss in Sustainable Food Value Chains - a Guiding Note.* Rome. Retrieved from https://www.fao.org/3/i8620en/i8620en.pdf

FAO. (2018). *Gender, agriculture and rural development in Georgia – Country Gender Assessment Series.* Rome. Retrieved from https://www.fao.org/3/CA0577EN/ca0577en.pdf

FAO. (2019). *The State of Food and Agriculture 2019. Moving forward on food loss and waste reduction.* Rome. Retrieved from http://www.db.zs-intern.de/uploads/1571119050-2019FAOFoodWaste.pdf

FAO. (2020). *FAO Policy on Gender Equality 2020-2030.* Rome: FAO. Retrieved from https://www.fao.org/3/cb1583en/cb1583en.pdf

FAO. (2021). *Global Assessment of Soil Pollution: Summary for Policymakers.* FAO. Retrieved from https://www.fao.org/3/cb4894en/online/cb4894en.html

FAO. (2022). *Hunger and food insecurity*. Retrieved from FAO.org: https://www.fao.org/hunger/en/#:~:text=What%20is%20food%20insecurity%3F,of%20resources%20to%20obtain%20food

FAO. (n.d.). *Food Recovery and Redistribution -A practical guide for favourable policies and legal frameworks in Europe and Central Asia.* Budapest: FAO. Retrieved from https://www.fao.org/uploads/media/Food_recovery_and_redistribution_guide.pdf

Fins, A. (2020). *National Snapshot: Poverty among Women & Families, 2020.* Washington, DC: National Women's Law Center. Retrieved from shorturl.at/elDTV

Food and Agriculture Organization of the United Nations. (2018). *Gender, Agriculture and Rural Development in Georgia. Country Gender Assessment Series.* Rome: Food and Agriculture Organization of the United Nations. Retrieved from https://georgia.un.org/sites/default/files/2020-05/gender.pdf

Grieser, M., & Rawlins, B. (1996). *Issues in Urban and Rural Environments: GreenCOM Gender Reports.* Washington.

Hadiningrat, G. (2019). Women's Role in Food Waste Management in Indonesia (Study Case in Bandung). *Advances in Health Sciences Research, 31*.

HLPE. (2014). *Food losses and waste in the context of sustainable food systems. A report by the High Level Panel of Experts on Food Security and Nutrition of the Committee on World Food Security.* Rome. Retrieved from shorturl.at/lKLNO

Hoteit, M., Mortada, H., Al-Jawaldeh, A., Ibrahim, C., & Mansour, R. (2022). OVID-19 home isolation and food consumption patterns: Investigating the correlates of poor dietary diversity in Lebanon: a cross-sectional study. *F1000Res*. doi:10.12688/f1000research.75761.1

Iranmanesh, M., Ghobakhloo, M., Nilashi, M., Tseng, M.-L., Senali, M. G., & A, A. G. (2022). Impacts of the COVID-19 pandemic on household food waste behaviour: A systematic review. *Appetite, 176*. doi:10.1016/j.appet.2022.106127.

ISET-PI. (2020). *გამოწვევები და პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით კი ქალთა ბიზნესებისთვის, COVID-19-ისა და პოსტ COVID-19-ის პერიოდში.* ISET/CARE International. Retrieved from shorturl.at/gprDL

Jorissen, J., Priefer, C., & Brautigam, K. R. (2015). Food waste generation at household level: Results of a survey among employees of two European research centers in Italy and Germany. *Sustainability, 7*(3). Retrieved from https://doi.org/10.3390/su7032695

Keulertz, M., Mulligan, M., & Allan, J. A. (2020). The impact of COVID-19 on water and food systems: flattening the much bigger curve ahead. *Water International, 45*(5). doi:10.1080/02508060.2020.1779515

Koivupuro, H.-K., Hartikainen, H., Silvennoinen, K., Juha-Matti, Katajajuuri, Heikintalo, N., . . . Jalkanen, L. (2012). Influence of socio-demographical, behavioural and attitudinal factors on the amount of avoidable food waste generated in Finnish households. *International Journal of Consumer Studies, 36*(2). doi:10.1111/j.1470-6431.2011.01080.x

Lipinska, M., Tomaszewska, M., & Kołozyn-Krajewska, D. (2019). Identifying Factors Associated with Food Losses during Transportation: Potentials for Social Purposes. *Sustainability*. doi:10.3390/su11072046

Lipinski, B., Hanson, C., Lomax, J., Kitinoja, L., Richard, W., & Searchinger, T. (2013). *Reducing Food Loss and Waste.* Washington, DC.

McCarthy, B., & Liu, H. B. (2017). Food waste and the “green” consumer. *Australasian Marketing Journal (AMJ), 25*(2), 126-132. doi:doi.org/10.1016/j.ausmj.2017.04.007.

Mehra, R., Du, T. T., Nghia, N. X., Lam, N. N., Chuyen, T. T., Tuan, B. A., . . . Nhan, N. T. (1996). Women in Waste Collection and Recycling in Hochiminh City. *Population and Environment: A Journal of Interdisciplinary Studies, 18*(2).

National Intelligence Council. (2015). *Intelligence Community Assessment - Global Food Security.* National Intelligence Council. Retrieved from shorturl.at/irKQY

Newberry, J. C. (2006). *Back door Java: state formation and the domestic in working class Java.* University of Toronto Press.

OXFAM. (2017). *სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების სტატუსის კვლევა.* Retrieved from shorturl.at/istx6

OXFAM. (2019). *Gender Inequalities and Food Insecurity: Ten years after the food price crisis, why are women farmers still food-insecure?* OXFAM. Retrieved from shorturl.at/oADI2

Principato, L., Secondi, L., & Pratesi, C. (2015). Reducing food waste: an investigation on the behaviour of Italian youths. *British Food Journal, 117*(2).

Seberini, A. (2020). Economic, Social and Environmental World Impacts of Food Waste on Society and Zero Waste as a Global Approach to their Elimination. *Globalization and its Socio-Economic Consequences 2019.* SHS Web of Conferences 74, 03010. doi:https://doi.org/10.1051/shsconf/20207403010

Spaargaren, G., Oosterveer, P., & Loeber, A. (2012). *Sustainability transitions in food consumption, retail and production. Food Practices in Transition: Changing Food Consumption, Retail and Production in the Age of Reflexive Modernity.* Routledge.

UN Women. (2018). *ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში: მიზეზები და შედეგები.* თბილისი. Retrieved from shorturl.at/ejHP7

UN Women. (2020). *სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის" გენდერული ზეგავლენის შეფასება.* თბილისი: UN Women.

UN Women. (2020, მაისი 22). ციფრულ ტექნოლოგიას ქალთა გაძლიერება შეუძლია, თუმცა... Retrieved from shorturl.at/hsMPT

UN Women, UNDP and the Frederick S. Pardee Center for International Futures. (2020). *Estimates and forecasts of extreme poverty by sex and age using the International Futures Model.* Retrieved from shorturl.at/eRXYZ

United Nations Development Programme and Oxford Poverty and Human Development Initiative. (2022). *Global Multidimensional Poverty Index 2022. Unpacking deprivation bundles to reduce multidimensional poverty.* United Nations Development Programme and Oxford Poverty and Human Development Initiative. Retrieved from shorturl.at/cegz3

United Nations Environment Programme. (2021). *Food Waste Index Report 2021.* United Nations, Nairobi. Retrieved from https://www.unep.org/resources/report/unep-food-waste-index-report-2021

United Nations Environment Programme. (2021). *Food Waste Index Report 2021.* Nairobi.

WHO Global Aneamia Estimate. (2021). Retrieved from World Health Organization: www.who.int/data/gho/data/themes/topics/anaemia_in_women_and_children

World Bank. (2018). *What a Waste 2.0: A Global Snapshot of Solid Waste Management to 2050.* Washington, DC.

World Bank. (2021). *Country Gender Assessment Georgia.* The World Bank Group. Retrieved from shorturl.at/cGSTW

World Bank. (2022, April 26). *Food and Energy Price Shocks from Ukraine War Could Last for Years.* Retrieved from shorturl.at/nvwA1

World Bank. (2022, April 13). *The war in Ukraine - amplifying an already prevailing food crisis in West Africa and the Sahel region.* Retrieved from shorturl.at/eqyS6

Woroniuk, B., & Schalkwyk, J. (1998). *Waste Disposal and Equality Between Women and Men, Gender and Urban Waste Management.* SIDA. Retrieved from https://www.oecd.org/dac/gender-development/1849277.pdf

Zhang, J., Wei, Y., & Fang, Z. (2019). Ozone Pollution: A Major Health Hazard Worldwide. *Frontiers in Immunology*. doi:10.3389/fimmu.2019.02518

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. (2020). *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027 წწ.* აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. Retrieved from http://adjara.gov.ge/uploads/Docs/6bfda228d2c84da6a27b7e540971.pdf

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია. (2019). *ეროვნული სამართლებრივი ანგარიში - საქართველოში სურსათის დანაკარგების, ნარჩენების და დონაციის პოლიტიკის და კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი და შეფასება.*

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. (2021). *2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.* Retrieved from shorturl.at/EJ136

გენდერული თანასწორობის საბჭო. (2022). *გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2022-2024.* Retrieved from shorturl.at/nowFJ

საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC). (2021). Retrieved July 1, 2022, from https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/50125

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2022). *2022-2026 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა.* თბილისი.

საქართველოს მთავრობა. (2019). მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი. Retrieved from https://sdg.gov.ge/text-page/34

საქართველოს მთავრობა, United Nations Georgia. (2020). *გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025 წწ.* თბილისი. Retrieved from shorturl.at/ikqSV

საქართველოს პარლამენტი. (2019). *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული გავლენის ანალიზი.* Retrieved from https://tinyurl.com/383wuwwn

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო. (2017). *საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის გენდერული გავლენის შეფასება, საქართველოს პარლამენტი, 2017.* Retrieved from https://tinyurl.com/3kc8bsw2

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო. (2017). *შრომის კანონმდებლობის რეფორმის გენდერული გავლენის შეფასება.* Retrieved from https://tinyurl.com/3a78p9rk

საქართველოს სახალხო დამცველი. (2020). *ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება. სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე.* საქართველოს სახალხო დამცველი. Retrieved from https://ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი. (2021). *ქალები და მობილობა - ქალთა ყოველდღიური გადაადგილების გენდერული ასპექტები.* Retrieved from https://ombudsman.ge/res/docs/2021092012383647680.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი. (2022). *უფასო სასადილოების პროგრამის განხორციელება საქართველოში.* Retrieved from https://www.ombudsman.ge/res/docs/2022080211265242635.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). *ქალი და კაცი საქართველოში.* თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Retrieved from shorturl.at/vIJP9

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *www.geostat.ge*. (ს. ს. სამსახური, Producer, & საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) Retrieved July 1, 2022, from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). აბსოლუტური სიღარიბე. Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. (2020). *ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში - საქართველო. სასურსათო უსაფრთხოების სისტემები პანდემიის დროს: საქონლის ხორცისა და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვი.* საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.

ევროკავშირი
საქართველოსთვის

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „ევროკავშირი
გენდერული თანასწორობისთვის - რეფორმების
განხორციელებაში დახმარების ტექნიკური ჯგუფის“
ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის ფინანსური
მხარდაჭერით ორგანიზაცია NIRAS-ის მიერ ხორციელდება.
პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია
ორგანიზაცია NIRAS-ი. პუბლიკაცია
შესაძლოა არ ასახავდეს
ევროკავშირის შეხედულებებს.

მოგვწერეთ:
reform.helpdesk@niras.se

პროექტს ახორციელებს
ორგანიზაცია NIRAS-ი